ალია

## პროფკავშირები პედაგოგებს გაფიცვისთვის ამზადებენ?



N84/3014/ 4 ივნისი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
გამოდის 1995 წლიდან
WWW.ALIA.GE

## გიორგი თავდგირიძე:

## „ნატო გვჭირდება მხოლოდ მე-5 პუნქტისთვის...“



## რას მოიგებს მოსახლეობა ღარიბაშვილის მიერ გერმანიაში დადებული კონტრაქტებით?



## საქართველოში არსებულ 43 ეპარქიას კიდევ 5 დაემატა



დღემდე საქართველოში არსებულ 43 ეპარქიას კიდევ 5 დაემატა. კერძოდ, დასავლეთ ევროპის ეპარქია – სამ ნაწილად, ჰერეთისა და ხორნაბუჯისა კი ორად გაიყო. ამერიკის ეპარქია ახალ ეპისკოპოსს საბა ინწკირველს გადაეცა, ხოლო მანამდე იქ მოღვაწე ეპისკოპოსი დიმიტრი ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიას დაუბრუნდა.

რაც შეეხება მღვდელმთავრების რაოდენობას, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას 49 მღვდელმთავარი ჰყავს, რომელთა შორის არის პატრიარქიც.

წმინდა სინოდის სხდომაზე ოთხი ახალი მღვდელმთავარი აირჩიეს: გერმანია-ავსტრიის ეპარქიაში – არქიმანდრიტი ლაზარე სამარბეგიშვილი, საინგილოში – მამა დემეტრე თეთრუაშვილი, ჰოლანდიაში – მამა დოსითე ბოგვერაძე, ამერიკაში – მამა საბა ინწკირველი. (ფრონტნიუსი)

## ნანა დევდარიანი:

## „ვინც იმის გამო არ წავა არჩევნებზე, რომ არც „ნაცებს“ ენდობა და არც „ოცნებას“, ის ავტომატურად ირჩევს რომელიმე მათგანს“





## გია გაჩეჩილაძე:

## „ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, გადამდელი არჩევნების ჩატარება რეალურია“



## დღეს საღამოდან ამინდი გაუმჯობესდება



საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 4 ივნისიდან, ერთი კვირის განმავლობაში, ამინდი გაუმჯობესდება, თუმცა საღამოსა და ღამის საათებში მცირე წვიმა შენარჩუნდება. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცნობით, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში 4 ივნისს მცირე წვიმაა მოსალოდნელი.

მათივე ინფორმაციით, 5 ივნისიდან საქართველოში ტემპერატურა მოიმატებს. დასავლეთ საქართველოში ჰაერი 35 გრადუსამდე გათბება, ხოლო აღმოსავლეთში – 28 გრადუსამდე. (ინტერპრესნიუსი)

# ყველას! ყველას! ყველას!

წლებია, „ალია“-„ქრონიკას“ უამრავი ფსიქოლოგიური, მორალური, ფიზიკური ზეწოლისა თუ ფინანსური მარწუხებისა და წნეხის ქვეშაც კი არ გადაუხვევია მთავარი პრინციპისთვის – არასდროს უთქვამს თეთრზე, შავიაო! ამიტომაც დაგვსაჯეს და ჩვენი პრინციპულობა, სიმართლე 53500 ლარი დაგვისვეს („ფრესკოს“ „აყროლებული ქათმის“ სტატია კი 6500 ლარად შეგვიფასეს)! გაზეთისთვისაა ეს დიდძალი თანხა, თორემ ზოგიერთისთვის ერთი თვის პრემიაა. სამართლებრივად, პროტესტის სხვა ყველანაირი ფორმის გამოხატვითაც კი, აყროლებული ქათმებითაც რომ გავავსოთ დაბრმავებული ქართული სამართალი, ან კუბლაშვილი თავის მოსამართლეებიანად (თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი, მაია ბაქრაძე, ვანო წიკლაური, თამაზ ურთმელიძე) – განაჩენი არ შეიცვლება, საბოლოოა და თანაც უტიფრად თავხედური – გასაჩივრებას აღარ ექვემდებარებაო. რადგან სიმართლის თქმისთვის ფულს გვთხოვენ, იძულებული ვხდებით, ქართულ ისტორიაში გაზეთისთვის უპრეცედენტო ჯარიმის გადასახდელად „თიბისი ბანკში“ სპეციალური ანგარიში გავხსნათ:

**GE30TB7568636020100001**

ყველას, ყველას, ყველას, ვისაც გწამთ ჩვენი და გჯერათ, რომ ორ ათწლეულზე მეტია, „ალია“-„ქრონიკას“ სიმართლე ტყუილად არ უწერია, დაჩაგრულის დასაცავად ტყუილად არ უბრძოლია! ახლა გვჭირდებით, რომ თუნდაც სიმბოლური ერთი ლარით გამოხატოთ თქვენი პოზიცია, ერთად შემოვულაწუნოთ ქართულ, გამომძალველ, დაბრმავებულ სასამართალოს, ვინძლო გამოფხიზლდეს.

რა მნიშვნელობა აქვს, ვის მხარესაა სიმართლე, უკვე მთავარია, ვის უჭირავს იარაღი, ანუ ფული.

**პირველი შემოწირულობა ანგარიშზე უკვე შეიტანეს:**

**1. შპს სტამბა „ტორის“ ხელმძღვანელმა ნუკრი დოლიძემ – 1000 ლარი; 2. ჰომეოპათმა კახა საბახტარიშვილმა – 100 ლარი, 3. ტარიელ თაბაგარი – 3 ლარი, 4. ადვოკატი გურამ გვენცაძე – 100 ლარი, 5. დავით მამუკაშვილი – 1 ლარი, 6. მერაბ ომიაძე – 1 ლარი, 7. „ახალგაზრდა ადვოკატები“ – 100 ლარი, 8. „ტოიოტა-ცენტრის“ ხელმძღვანელი ირაკლი გურჩიანი – 1500 ლარი, 9. ირაკლი ქავთარაძე – 49 ლარი; 10. ოთარ ჯანდიერი – 10 ლარი; 11. ნათელა მაღლაკელიძე – 50 ლარი; 12. ს/ს „გურმანი“ – 50 ლარი; 13. ენრიკო იაკობაშვილი – 1000; 14. ზესიკი ადამია – 5; 15. ანა იმნაიშვილი – 5; 16. ჯიბუტი – 10; 17. დიმიტრი-ელენე-ენვერ ენდელაძე – 3; 18. რიმა გოჩიაშვილი – 50, 19. გელა სულაბერიძე – 2, 20. სერგო მწითურიძე – 100. 21. თამარ მდივნიშვილი – 5. 22. იოსებ ვაშაკიძე – 5, 23. ირინე ტატუნიშვილი – 5, 24. ნუკრი რევიშვილი – 10, 25. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი – 500, 26. მანანა ვახტანგაძე, რევაზ ფახურიძე – 1, 27. ამხანაგობა საადვოკატო ბიურო მიგრიაული და პარტნიორები – 70, 28. ვასილ მეტერეველი – 10, 29. ლაერტი ზუბადალაშვილი – 100, 30. ჯუმბერ ტაგანაშვილი – 10, 31. შპს „ნილი“ – 50; 32. მამუკა კაკუშაძე 20; 33. ჩანჩალაშვილი აბრამი – 300.**

**მადლობა მათ თანადგომისთვის.**

## „ალიას“ და „კვირის ქრონიკას“ სოლიდარობას უცხადებენ

REPORTIORI.GE

დღეიდან „რეპორტიორის“ არც ერთი თანამშრომელი „ფრესკოს“ პროდუქციას არ იყიდის. მოვუწოდებთ საქართველოს ჟურნალისტურ ოჯახს: მხარი დავუჭიროთ და გვერდში დავუდგეთ გაზეთ „ალიას“, რომელსაც ებრძვიან იმიტომ, რომ თავისი მკითხველების, ანუ საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს იცავს“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# უგულავას ქვისლი დაიჭირეს

## რა სქემა გაშიფრა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა...



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ზეგავლენით ვაჭრობისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დაკავებულია მოქალაქე გიორგი ღონიაშვილი. საქმეში თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის გვარი ფიგურირებს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური „ნაციონალური მოძრაობის“ დასაფინანსებლად შექმნილ დანაშაულებრივ სქემას ასაჯაროებს.

„გამოძიებით ამ ეტაპზე დგინდება, რომ გიორგი ღონიაშვილისთვის ცნობილი იყო რა, რომ შპს „გუდაური სქი რესორტის“ მფლობელს (ამ კომპანიაზე ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი) ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული ჰქონდა კომპანია „**BROOKTRADE**“, შესთავაზა მას წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დახმარება, რაზეც ეს უკანასკნელი დასთანხმდა. დახმარება გამოიხატებოდა იმაში, რომ კეზერაშვილის ერთ-ერთი ოფშორული კომპანიიდან თანხები ვითომდა საკონსულტაციო მომსახურების სანაცვლოდ გადაირიცხებოდა კომპანია „**BROOKTRADE**“-ში, საიდანაც უკვე ასევე ფიქციური ხელშეკრულების საფუძველზე ჩამოირიცხებოდა საქართველოში, შემდგომში პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად.

შეთანხმებისამებრ გადმორიცხული თანხების ნამდვილი დანიშნულების შენიღბვისა და მისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, ოფშორულ ზონაში ბრიტანეთის ვირჯინიის კუძულებზე რეგისტრირებულ დავით კეზერაშვილის კომპანიას „**EXIMUS HOLDING**“-სა და ოფშორულ კომპანია „**BROOKTRADE**“-ს შორის გაფორმდა ფიქციური ხელშეკრულება, რომლითაც თითქოს ამ უკანასკნელს უნდა გაეწია საკონსულტაციო მომსახურება „**EXIMUS HOLDING**“-თვის კასპიის ზღვის ქვეყნებში ენერგომატარებლების ვაჭრობასთან დაკავშირებით. ხსენებული ყალბი ხელშეკრულებით საკონსულტაციო მომსახურების ღირებულება განისაზღვრა, ჯამში, 1 500 000 აშშ დოლარით. აქვე აღსანიშნავია, რომ ოფშორული კომპანიის დირექტორია ალექსანდრე გოგოხია, რომელიც წარსულში შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიას“ ხელმძღვანელობდა.

სწორედ აღნიშნული ყალბი ხელშეკრულების საფუძველზე, ვითომდა საკონსულტაციო მომსახურების სანაცვლოდ კომპანია „**EXIMUS HOLDING**“-იდან კომპანია „**BROOKTRADE**“-ის ანგარიშზე გადაირიცხა, საერთო ჯამში, 760 000 აშშ დოლარი, რომელიც შემდგომში საქართველოში რეგისტრირებული კომპანიის გამოყენებით ჩამოირიცხა საქართველოში და კონვერტაციის შემდგომ გადაცემულ იქნა გიორგი ღონიაშვილზე, პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად. გადმორიცხული თანხიდან, მხოლოდ ერთჯერადად 2014 წლის 14 მაისს ღონიაშვილის მითითებით ხსენებული თანხის ნაწილი 85 000 აშშ დოლარი გადაირიცხა ქ. ლონდონში, თბილისის მერის ყოფილი მოადგილის დავით ალავიძის შვილის ანგარიშზე.

საგამოძიებო სამსახურის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გამოვლენილ იქნა ხსენებული დანაშაულებრივი სქემა და მორიგი თანხის ჩამორიცხვისა და კონვერტაციის დასრულების შემდეგ, 3 ივნისს დაკავებულ იქნა გ. ღონიაშვილი, რომლისგანაც პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა 160 000 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ლარებში.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ 2011 წლის 12 ივლისს ქ. თბილისის მერიასა და შპს „გუდაური სქი რესორტს“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც კომპანიას სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცა ე.წ. თბილისის ზღვის მიმდებარედ არსებული 200 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. მასვე საპრივატიზაციო პირობად განესაზღვრა 5 000 000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება 5 (ხუთი) წლის ვადაში. იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს მიერ ნაკისრი საინვესტიციო ვალდებულებები ვერ შესრულდა, თბილისის მერიამ შპს „გუდაური სქი რესორტს“ დააკისრა ჯარიმა პირგასამტეხლოს სახით 193 500 (ასოთხმოცდაცამეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობით.

მას შემდეგ, რაც გიორგი ღონიაშვილმა შეიტყო აღნიშნული ფაქტის შესახებ, „გუდაური სქი რესორტის“ ერთ-ერთ მფლობელს შესთავაზა, რომ 50 000 ლარის სანაცვლოდ, მისი ქვისლის, თბილისის ყოფილი მერის გიორგი უგულავას დახმარებით მერიას გააუქმებინებდა მის მიერვე გამოტანილ დადგენილებას საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო საწარმოს 193 000 ათასი დოლარით დაჯარიმების შესახებ.

თბილისის მერის მოადგილის ირაკლი აბესაძის ხელმოწერილი თბილისის მთავრობის 2014 წლის 25 აპრილის დადგენილებით შპს „გუდაური სქი რესორტი“ 193 000 ათასი დოლარის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან მართლაც განთავისუფლდა, რის სანაცვლოდაც, შეთანხმებსამებრ ღონიაშვილმა კომპანიის ხელმძღვანელისგან აიღო შეპირებული თანხა 50 000 ლარის ოდენობით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 3391-ე მუხლებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით“, – აცხადებენ უწყებაში.

დაკავებას ეხმაურება „ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, გიგი უგულავა: „გადაწყვეტილება ამ ფირმასთან დაკავშირებით მიღებულია ცენტრალური მთავრობის მიერ და მიღებულია ბიძინა ივანიშვილის, როგორც პრემიერ-მინისტრის მიერ. არსებობს მთავრობის სტენოგრაფიული ჩანაწერები, სადაც მთავრობის სხდომაზე იხილებოდა ეს საკითხი და სადაც მერია მხოლოდ წარმდგენი იყო ამ საკითხის. ბიძინა ივანიშვილმა დაავალა საკუთარ პაჟს, შს მაშინდელ მინისტრს, შეესწავლა ეს საკითხი და არგუმენტი იყო სწორედ ის, რომ ეს კომპანია არ იმსახურებდა ზედმეტ ჯარიმას. გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ ძალაში შევიდა, მიიღო ცენტრალურმა მთავრობამ და პირადად ბიძინა ივანიშვილმა“, – განაცხადა უგულავამ.

მისივე განმარტებით, საუბარი იმაზე, რომ კონკრეტულ კომპანიას უპირატესობა მისი მერობის დროს მიენიჭა, სიმართლეს არ შეესაბამება. უგულავას მტკიცებით, იმ პერიოდში მას მერის უფლებამოსილება შეჩერებული ჰქონდა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბიზნესმენისთვის ჩამორთმეული მანქანით პოლიციელები სარგებლობენ?



ადვოკატი ირმა ჭკადუა პროკურატურას მიმართავს. მისი განცხადებით, ბიზნესმენ გივი თოდაძეს 2011 წელს ლევან ქარდავამ ორი ავტომობილი ჩამოართვა, რომელთა ღირებულება 150 ათას დოლარს აღემატება. მისი თქმით, როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, პროკურატურაში განცხადება შეიტანეს, რის საფუძველზეც გამოძიება დაიწყო, თუმცა აუქციონი გამოაცხადეს, სადაც გივი თოდაძის ავტომობილებიც იყო.

„ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ეს ორი მანქანა ამოღებულ იქნა აუქციონიდან. 2 ივნისს კი გივი თოდაძემ სასტუმრო „რედისონთან“ დაინახა საკუთარი ავტომობილი, რომლითაც ვიღაც დახვდა უცხოელ სტუმარს. მან გადაიღო ტელეფონის საშუალებით აღნიშნული კადრები. მოგვიანებით ის მიჰყვა ამ ავტომობილს და ეს ავტომობილი შევიდა დიღომში, პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში“, – განაცხადა ჭკადუამ.

ადვოკატი მთავარ პროკურატურას მიმართავს, ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყოს, ვინაიდან ავტომობილით, რომლის გაყიდვაც აუქციონზე შეჩერდა და, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობს, თავისუფლად გადაადგილდება ვიღაც უცნობი პიროვნება.

„მოვითხოვთ, სასწრაფოდ მოხდეს იმ გამოძიების დასრულება, რომელიც დაწყებულია ავტომობილების ჩამორთმევასთან დაკავშირებით. ასევე, დაისაჯონ დამნაშავე პირები და ავტომობილები მის კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეთ“, – აცხადებს ადვოკატი. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





## გიორგი თავდგირიძე:

# „ნატო გვჭირდება მხოლოდ მე-5 პუნქტისთვის...“

გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა გულახდილად გვითხრა: მაპ-ი არა, კვატი, ამის გარდა თქვენთვის იმდენი გასართობი გვაქვს, ვერც კი წარმოიდგენთო:

„ჩვენ ვხედავთ საქართველოს ძალისხმევას, ვგულისხმობ სამშვიდობო მისიებში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობას. ნატოს შემდგომი სამიტის დროს უნდა გადავწყვიტოთ, როგორ გავუსვათ ხაზი, რომ საქართველო არის კარგი პარტნიორი და ვფიქრობ, მაპ-ის გარდა, სხვა საშუალებებიც არსებობს ამის გამოსახატად“.

იგივე ანგელა მერკელი აღნიშნავს, რომ საქართველო ღირსია რუ-

თანახმად, უახლოეს ხანში ანგელა მერკელიც ეწვევა თბილისს. ღარიბაშვილი ბოლო ორი თვის განმავლობაში უკვე მეორედ ჩავიდა გერმანიაში და ქართველ საზოგადოებაში ხუმრობენ კიდეც: ანგელას ირაკლი ძალიან მოეწონა და მის „შებმას“ აპირებსო. მოკლედ, მერკელი კი ამბობს, მაპ-ი არა, კვატიო, მაგრამ სამაგიეროდ, „გენიოსი“ ლევან ბერძენიშვილი გვპირდება, ნატოს მომავალ სამიტზე, რომელიც სექტემბერში უნდა გაიმართოს დიდ ბრიტანეთში, ეგ ამბავი უკვე გადაწყვეტილია, აუცილებლად მოგვცემენო.

ამასობაში უმრავლესობის ერთმხრიდან, შესაძლოა, დროის მოკლე მონაკვეთში ნიშნავდეს იმას, რომ აფხაზეთი, როგორც ასეთი, აღარ იქნება“.

როგორც სამხედრო ექსპერტი, **გიორგი თავდგირიძე** ამბობს „ალიასთან“ საუბარში, „რესპუბლიკელების“ ასეთი სულელური გამონათქვამები გათვლილია შიდა მოხმარებისთვის, ადგილობრივი არჩევნები კარსაა მომდგარი, ასევე, საპარლამენტო არჩევნებიც ახლოვდება და მათი მიზანია, ნებისმიერი გზით მიაღწიონ მიზანს:

– მე პირადად ობამასა და მერკელის განცხადებებს უფრო ვენდობი, ვიდრე ლევან ბერძენიშვილისა და თინა ხიდაშელის განცხადებებს. ეს ადამიანები ამ ყველაფერს არა მხოლოდ არჩევნებისთვის იყენებენ, არამედ, ცდილობენ, ამგვარი თაღლითობით საკუთარი უნიათობა გადაფარონ. აი, აქედან გამომდინარე, მათ უჩნდებათ უტოპიური იდეები ნათელი მომავლის შესახებ – კომუნიზმი, მაპ-ი და ასე შემდეგ.

— **მერე, ამას ვინ „ჭამს“, დღეს ხომ ყველა კითხულობს, თუნდაც, მერკელისა და სხვა პოლიტიკოსების განცხადებებს?**

– როდესაც ადამიანი თაღლითობას დაიწყებს და შულერობის გზას დაადგება, ის უკვე აღარ ფიქრობს, საზოგადოების რა ნაწილს მოატყუებს. ეგენი ცდილობენ, გაუვათ თუ არა, ეგ ჩვენზეა დამოკიდებული. თუნდაც ვთქვათ ამ ყბადაღებულ მაპ-ზე – ჩემთვის გაუგებარია, რატომ გავიხადეთ მიზნად მაპ-ი? ჩვენი მიზანი უნდა იყოს დასავლური ტიპის სახელმწიფოს შექმნა და მეტი არაფერი. რაც შეეხება ნატოს, ეს ორგანიზაცია გვჭირდება მხოლოდ მე-5 პუნქტისთვის, ანუ „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის“. ახლა, როდესაც ჯარები გვყავს ავღანეთსა და ერაყში, როდესაც ჩვენი ოფიცრები განათლებას იღებენ ნატოს ეგიდით, რაღა დროს მაპ-ია? გარდა ამისა, როცა მუდმივად ამ საკითხით სპეკულირებ და ირაკლი ალასანია კიდევ თავისი უპასუხისმგებლო განცხადებებით ც ე ც ხ ლ ზ ე ნავთს ასხამს, ბუნებრივია, რუსეთთან



სეთთან უკეთესი ურთიერთობის და მიესალმება ჩვენს ევროპულ არჩევანს. 2 ივნისს პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი გერმანიაში სრული სვლით მიიღეს და გავრცელებული ინფორმაციის

> „პირველი – ირაკლი ალასანია უკვე უზარმაზარ ენერგიას ხარჯავს საკუთარ პიარზე; მეორე – „ნაციონალები“, რომლებსაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შანსი ცალკე არ აქვთ, მას უბიძგებენ თანამშრომლობისკენ და აქვთ კარგი ურთიერთობა. ისინი ერთობლივად გეგმავენ საპარლამენტო უმრავლესობაში მოსვლას, შემდეგ დააკომპლექტებენ მთავრობას და ალასანია დიდი ხნის ოცნებას აისრულებს, მიიღებს პრემიერ-მინისტრის სავარძელს“

ერთი ლიდერი, თინა ხიდაშელი უცნაურ განცხადებებს აკეთებს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით: „აფხაზეთში განვითარებული მოვლენების უმსხვერპლოდ წარმართვაში საქართველოს ხელისუფლებამ დიდი როლი შეასრულა... აფხაზეთის ანექსია რუსეთის

იძაბება სიტუაცია და აქვე იბადება კითხვა: ეს უვიცობაა, უცოდინრობა თუ გამიზნული პროვოკაცია?

— **თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე?**

– გონიერი ადამიანი მიზნის მისაღწევად ყოველთვის აკეთებს ლავირებას. საქართველო ასე არ იქცევა, პირიქით, ჩვენ მიზნისკენ კი არ მივდივართ, არამედ, ზოგიერთი ცდილობს, საკუთარ თავზე დაიდგას დიდების შარავანდედი. ასე იყო სააკაშვილი, რომელიც ვითომ ებრძოდა ცხრათავიან ურჩხულს, ანუ რუსეთს და ასე ხდება ახლაც. აქ ორი მომენტია, ჯერ ერთი, დღევანდელ ხელისუფლებაში ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც არა მხოლოდ რუსეთს მიეყიდება, არამედ ტანზანიასაც და მეორეც – არიან ადამიანები, რომლებიც ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით რუსეთსაც კი დაეტაკებიან. ამ მხრივ, აქტიურობით კოალიციაში „რესპუბლიკელები“ და ირაკლი ალასანიას გუნდი გამოირჩევიან. როდესაც შენ ვიღაცამ მოგიყვანა ხელისუფლებაში, როდესაც ხალხს არ აურჩევიხარ და არც რეიტინგი არ გაგაჩნია, მაშინ რაღაც ისეთი უნდა მოიფიქრო, რომ ხელისუფლებაში თაღლითობის გზით დარჩე. ამ თაღლითობას კი მივყავართ უცხოელ პატრონებამდე, უცხოურ დაფინანსებამდე, გარკვეულ მანიპულაციებამდე და ასე შემდეგ. ესენი ძალიან ჰგვანან „ნაციონალებს“, გაყალბების გარეშე მათი ფასი არის ნული.

— **ფაქტობრივად, რასაც ახლა ესენი აკეთებენ, ეს არის ანტირეკლამა. დავიჯერო, ამას ვერ ხვდებიან?**

– თავმოყვარე პოლიტიკოსები ასეთ განცხადებებს არ გააკეთებენ. თუმცა, რა დაპირისპირებაც საპარლამენტო უმრავლესობაშია, ზოგიერთებს აიძულებს, იყვნენ აქტიურები და იმას აღარ უკვირდებიან, რა სისულელეებს ლაპარაკობენ. ახლა „რესპუბლიკელებმა“ მათი წევრის, პაატა ზაქარეიშვილის სამინისტროს არსებობა რაღაცნაირად ხომ უნდა გაამართლონ? ფაქტობრივად, ეს კაცი უსაქმურად არის დარჩენილი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ თეონა აქუბარდია დაინიშნა



შესაბამის ბრძანებულებას პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ხელი უკვე მოაწერა. თეონა აქუბარდია არასამთავრობო ორგანიზაცია „თავდაცვისა და უსაფრთხოების სამოქალაქო საბჭოს“ გამგეობის წევრია. ბოლო პერიოდში უშიშროების საბჭოს მდივნის მრჩევლად მუშაობდა. (ნიუპოსტი)

## ვარშალომიძე შეჩერებული სოციალური პროექტების ამოქმედებას მოითხოვს



აჭარის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ლევან ვარშალომიძე ხელისუფლებას მოუწოდებს, შეჩერებული სოციალური პროექტები აამოქმედოს.

მისი თქმით, ხელისუფლებამ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაწყებული პროექტი – „ბათუმი ბარაკების გარეშე“ შეაჩერა, რომლის ფარგლებშიც სოციალურად დაუცველი ასეულობით ოჯახი საცხოვრებელი ბინით უნდა დაკმაყოფილებულიყო.

„დღევანდელ მთავრობას გადაწყვეტილების მიღებას ვურჩევ. წელიწად-ნახევარია, ეს შენობები თავისუფალია. ზუსტად 2010 წელს დავიწყეთ პროექტი – „ბათუმი ბარაკების გარეშე“ და „სახლები სოციალურად დაუცველ ოჯახებს“. გეგმა იყო ძალიან მარტივი, ვაშენებდით ორ სახლს და ბიუჯეტში დავუტოვეთ კიდევ ორი სახლის ფული. შენდებოდა 65 ბინა, სადაც ბენზეს ბარაკებიდან მოსახლეობის შესახლება იგეგმებოდა. სამწუხაროდ, ეს საკითხი დღემდე არ არის მოგვარებული. მთავრობას მოვუწოდებ, ქმედითი ნაბიჯი გადადგას, სახლი არ უნდა იყოს ცარიელი“, – განაცხადა ვარშალომიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „შემოსავლებმა“ და „აღსრულებამ“ მემორანდუმი გააფორმეს

შემოსავლების სამსახურსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს შორის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანამშრომლობის კონკრეტულ საკითხებს ითვალისწინებს.

კერძოდ, დეტალურად არეგულირებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში ორ უწყებას შორის საჭირო ინფორმაციის მოთხოვნა-მიწოდების პროცედურებს. (ნიუპოსტი)

## საქართველოში 50 000 ბავშვი უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს



გაეროს ბავშვთა ფონდის, „იუნისეფის“ მონაცემებით, საქართველოში 0-16 წლის ბავშვების 27% სიღარიბეში ცხოვრობს, აქედან 50 000 ბავშვი უკიდურეს სიღატაკეს განიცდის და დღეში 2 ლარზე ნაკლებს მოიხმარს. ფონდის ინფორმაციით, ბავშვიანი ოჯახები უფრო ღარიბები არიან, ვიდრე ოჯახები, რომლებსაც ბავშვები არ ჰყავთ და რაც უფრო მეტი ბავშვია ოჯახში, მით მეტია სიღატაკის რისკი:

„სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი 2011 წელს 25%-დან 2013 წელს 27%-მდე გაიზარდა, რადგან სოციალური დანახარჯები უფრო მეტად სხვა დაუცველ ჯგუფებზე იყო მიმართული“. – წერია კვლევაში. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა, რომ 2012-2013 სასწავლო წელს უღარიბეს ოჯახებში 17 წლის ასაკის ბიჭების მხოლოდ 53% დადიოდა რაიმე სახის საგანმანათლებლო დაწესებულებაში. 18 წლის ასაკის ბიჭებისთვის ეს მაჩვენებელი 47 პროცენტამდე ეცემა.

ბოლო ორი წლის მანძილზე შემცირდა ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე, თუმცა მისი დონე კვლავ ყველაზე მაღალია სხვა მოსახლეობასთან შედარებით. საქართველო უთანასწორობის მაღალი დონის მიხედვით ევროპაში მეორეა. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

კოალიციაში სიტუაცია ძალიან დაძაბულია და ჩვენ არჩევნების შემდეგ ვნახავთ, რა ამბები მოჰყვება ამ ყველაფერს.

**— საინტერესოა, რა დაძაბულობაზე ლაპარაკობთ?**

– კოალიციაში შიგნით ვინ ვისზე ჭორაობს, ეს არ მაინტერესებს, მე გეტყვით, რა პროცესები მიდის: პირველი – ირაკლი ალასანია უკვე უზარმაზარ ენერგიას ხარჯავს საკუთარ პიარზე; მეორე – „ნაციონალები“, რომლებსაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შანსი ცალკე არ აქვთ, მას უბიძგებენ თანამშრომლობისკენ და აქვთ კარგი ურთიერთობა. ისინი ერთობლივად გეგმავენ საპარლამენტო უმრავლესობაში მოსვლას, შემდეგ დააკომპლექტებენ მთავრობას და ალასანია დიდი ხნის ოცნებას აისრულებს, მიიღებს პრემიერ-მინისტრის სავარძელს. ეს არის მათთვის ერთადერთი გზა.

**— ამ დროს რას აკეთებენ „რესპუბლიკელები“?**

– სწორედ „რესპუბლიკელები“ ამზადებენ მორალურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას, რათა ამ ორ ძალას პროდასავლური შეფერილობა გაუკეთონ. ვინაიდან 2016 წლისთვის კოალიცია აღარ იარსებებს, მათი სურვილია, პარლამენტში გარანტირებული ჰქონდეთ ადგილები. თუ საერთო ჯამში ისინი „ქართული ოცნებისგან“ ვერ მიიღებენ ასეთ გარანტიას, მაშინ მთლიანად აეკიდებიან ალასანიას და „ნაციონალებს“. ესენი ცოტა ხანში დაიწყებენ პიარს და იტყვიან: კი, „ნაციონალები“ ცუდები არიან, მაგრამ მაინც პროდასავლური კურსი აქვთო. სამაგიეროდ, უარყოფით აქცენტს გადაიტანენ „ქართულ ოცნებაზე“, რომ ისინი არიან უხერხემლოები, უნიათოები და ვერ შეძლეს ქვეყნის მართვა.



**„ბიძინა ივანიშვილმა უნდა შეცვალოს მრჩევლები, თუ მან ახალი გუნდი არ შექმნა და არ ამოქმედდა, ის თავისთავად გამოეთიშება პროცესებს“**

**— პრინციპში, ეს პროცესი უკვე დაწყებულია.**

– კი, დაწყებულია და უახლოეს ხანში ამას მიემატება ისიც, რომ, ალბათ, რუსეთი ჩვენს დაკარგულ ტერიტორიებსაც მიიერთებს, ყველაფერი აქეთ მიდის. ეს ყველაფერი კი მათ წისქვილზე დაასხამს წყალს, ხელისუფლება იმდენად დასუსტდება და იმდენად უარყოფითი ენერგია იქნება საზოგადოების მხრიდან, ამათ გაუადვილდებათ შავი პიარის აგორება. მით უმეტეს, როცა ეს ხელისუფლება თავისი ყელის გამოსაჭრელ დანას თვითონვე ლესავს, როცა არ ცვლის საარჩევნო კოდექსს და არ აძლევს საშუალებას საპარლამენტო ოპოზიციას, გარკვეულწილად მოძლიერდეს. რაც შეეხება მთავრობას, მას მხოლოდ ეკონომიკის გაძლიერება და სოციალური პროექტების განხორციელება გადაარჩენს.



**— რა უნდა გააკეთოს კონკრეტულად პრემიერ-მინისტრმა და უნდა დაბრუნდეს თუ არა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში?**

– ბიძინა ივანიშვილმა უნდა შეცვალოს მრჩევლები, თუ მან ახალი გუნდი არ შექმნა და არ ამოქმედდა, ის თავისთავად გამოეთიშება პროცესებს. რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, ისიც უნდა გააქტიურდეს, დრო მიდის. მას აქამდეც შეეძლო, ბევრი უსარგებლო მინისტრი მოეშორებინა, მაგრამ რატომღაც ეს არ გააკეთა. ამ ყველაფერში ჩარევა და სიტუაციის გამოსწორება შეუძლია ბიძინა ივანიშვილს, მას საამისო რესურსი აქვს, მაგრამ არავინ იცის, რას იზამს.

**— ესე იგი, მას შეუძლია, გამოვიდეს და ისევ აღაფრთოვანოს ხალხი?**

– აღფრთოვანებაზე რა მოგახსენოთ, არ ვიცი, მაგრამ სიტუაციის გადარჩენა ნამდვილად შეუძლია. ხალხი არ უნდა დაიღალოს, დაღლილი ხალხი არის მუდმივი სოციალური აფეთქების წყარო. რაც მთავარია, უნდა დამთავრდეს ფორსმაჟორულ სიტუაციაში ცხოვრება.

**„ახლა „რესპუბლიკელებმა“ მათი წევრის, პაატა ზაქარეიშვილის სამინისტროს არსებობა რაღაცნაირად ხომ უნდა გაამართლონ? ფაქტობრივად, ეს კაცი უსაქმურად არის დარჩენილი“**

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## გარედან მართულია, აბა, რა არის?



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, აფხაზეთში შიდა დაპირისპირების გამწვავება შესაძლოა, გარედან მართული პროცესი იყოს: „აფხაზეთში შიდადაპირისპირება დიდი ხანია არსებობს, ჩვენ ამის შესახებ ვიცოდით, მაგრამ ამ ბოლო პერიოდში ამ საკითხის გამწვავება, რასაკვირველია, შესაძლოა, უკავშირდებოდეს იმას, რომ პროცესი მართულია გარედან, სხვა ძალების მიერ და ეს იყოს კავშირში ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერასთან.

ასე რომ, საერთაშორისო საზოგადოება არის მობილიზებული, ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ საშიში ტენდენციები შეიმჩნევა აფხაზეთში. ჩვენ განსაკუთრებით გვაღელვებს ის, რომ ქართული მოსახლეობის მიმართ არის აგრესია და კეთდება აგრესიული განცხადებები. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს, რა ხდება იქ, გვაქვს ჩვენი ანალიზი, დასკვნები და ჩვენი ძალისხმევით საერთაშორისო თანამეგობრობა არის ინფორმირებული და მობილიზებული“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (ნიუპოსტი)

## შვეიცარია და საქართველო ერთმანეთის ინვესტიციებს დაიცავენ



საქართველო-შვეიცარიას შორის „ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ შეთანხმება“ გაფორმდა. დოკუმენტს ხელი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტმა, დიდიე ბურკჰალტერმა მოაწერეს.

როგორც დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ ღარიბაშვილმა აღნიშნა, ორმხრივი შეთანხმება შვეიცარიასთან ეკონომიკური და ბიზნესაქტივობის განვითარებისთვის მყარ იურიდიულ ბაზას შექმნის, რაც თანამშრომლობის გაღრმავებას ხელს შეუწყობს.

შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობასა და საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრეს. შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს ხარისხობრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანს.

პრემიერ-მინისტრმა შვეიცარიის პრეზიდენტს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მედიატორის როლის შესრულებისთვის მადლობა გადაუხადა. (ნიუპოსტი)

## მარგველაშვილმა რუსეთს ღიად „დაარტყა“



საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, „იმას, რაც აფხაზეთში ხდება, ჩვენ ვაკვირდებით უაღრესი ყურადღებით, რადგან ეს არა მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიაა, არამედ იქ ცხოვრობენ ჩვენი მოქალაქეები, ეთნიკური წარმოშობის საქართველოს მოქალაქეები. მათი ინტერესების დაცვას ჩვენ ხელოვნურად ვართ მოკლებული. ამიტომაც ყურადღებით ვაკვირდებით, როგორ ვითარდება იქ სიტუაცია. ნათლად ჩანს, რომ ეს არის რუსეთის პირდაპირი და ღია ჩარევა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიისა და ჩვენი მოქალაქეების ცხოვრებაში. იმედი გვაქვს, რომ ეს არანაირად არ დაუკავშირდება ასოცირების ხელშეკრულებას და არ იქნება საშუალება, რომლითაც თითქოს გვპასუხობენ დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს, რომლის პოლიტიკური სპექტრიც გაერთიანებულია იმისთვის, რომ ხელი მოაწეროს ასოცირების ხელშეკრულებას და ეს არჩევანი არის ნათლად გამოხატული. მე არ ვფიქრობ, რომ ამ ფორმით იქნება მცდელობა ამ არჩევანისთვის დასჯის“, – აღნიშნა მარგველაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ჰიმნის დროს გულზე მიტანილი ხელი საქართველოში მიხეილ სააკაშვილმა დაამკვიდრა“



პარტია „საქართველოს გზის“ საპატიო თავმჯდომარე, სალომე ზურაბიშვილი სოციალური ქსელის მეშვეობით სახელმწიფო სიმბოლიკების ეტიკეტის წესებს განმარტავს. მისი თქმით, ჰიმნის დროს გულზე მიტანილი ხელი ამერიკული ტრადიციაა და ეს საქართველოში მიხეილ სააკაშვილის მიერ არის შემოტანილი.

„არაფერი ამაში მიუღებელი ან საქილიკო არ არის: გულზე მიტანილი ხელი – ეს ამერიკული ტრადიციაა, ჩვენთან შემოტანილი სააკაშვილის მიერ და არა უნივერსალური და აუცილებელი ფორმა ან რამე ქართული ტრადიცია (ჩვენთან კი ამ ჟესტს სალამის ნიშნად ხმარობდნენ და რა საჭიროა შევუცვალოთ დანიშნულება. ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და რაინდული სალამია).....

სამაგიეროდ ერთი დარღვევა კი შევამჩნიე, რაც, სხვათა შორის, არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ მთელ მსოფლიოში ვრცელდება: ჰიმნისთვის ტაშის დაკვრა – ჰიმნს ტაშს არ უკრავენ, ეს არ არის მუსიკალური ნაწარმოები, რომ დაფასების ნიშნად ტაში დაეკრას, არამედ სახელმწიფო სიმბოლოა, რომელსაც პატივს აგებენ დუმილით და დგომით...“, – წერს ზურაბიშვილი. (ნიუპოსტი)

## თეა წულუკიანი მთავარი პროკურატურიდან პასუხს ელოდება



უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე, თეა წულუკიანი პარასკევს მთავარი პროკურატურიდან პასუხს ელოდება. საქმე ეხება ოპოზიციური პარტიების კანდიდატებზე განხორციელებული შესაძლო ზეწოლისა და კანდიდატურების მოხსნის ფაქტებს. წულუკიანი კახა კალაძის განცხადებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ცესკო-მ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისთვის კონკურენციის თანაბარი პირობები უნდა შექმნას.

„ზეწოლის იმ ფაქტებზე გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა. უწყებათაშორისი კომისიის მომავალ სხდომაზე ველოდები პროკურატურისგან პასუხებს, თუ რა გარემოება გამოიკვეთება გამოძიებისგან. რაც შეეხება ცესკოს, მას საარჩევნო კოდექსით მინიჭებული როლი აქვს და დარწმუნებული ვარ, ცესკო თავის წილ როლს შეასრულებს იმაზე, რომ არც ერთ კანდიდატს არ შეექმნას შეჯიბრის, არჩევნებში მონაწილეობის და თუ ხალხი ამას ისურვებს, გამარჯვების პრობლემა“, – განაცხადა წულუკიანმა.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გენერალური მდივანი ცესკოს სთხოვს, შეიცვალოს ნორმა, რომელიც პარტიული სიის ნაწილის მიერ არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში, საარჩევნო პროცესიდან მთელი სიის მოხსნას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

# ნანა დევდარიანი: „ვინც იმის გამო არ წავა არჩევნებზე, რომ არც „ნაცებს“ ენდობა და არც „ოცნებას“, ის ავტომატურად ირჩევს რომელიმე მათგანს“

„გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელის ნანა დევდარიანის განცხადებით, „ქართულ ოცნებაში“ არიან ზუსტად იგივე იდეოლოგიის ადამიანები, როგორებიც „ნაციონალებში“. ისინი მიიჩნევენ, რომ მათთვის პატრიარქის ასეთი მაღალი ავტორიტეტიც პრობლემაა, ეკლესიაში მრევლი რომ ასე მომრავლდა, ესეც პრობლემაა... ამიტომ ხელისუფლების დამოკიდებულება პატრიარქის მიმართ შეცვლილი არ არის, ისინი უფრო არ უგდებენ პატრიარქს ყურს, ვიდრე ხელისუფლებაში ყოფნის დროს „ნაციონალური მოძრაობა“...



„ალიას“ **ნანა დევდარიანი** ესაუბრა:

**— ქალბატონო ნანა, პატრიარქის სახელით გავრცელებული განცხადება ბევრმა დაიჯერა და ელოდნენ, რომ მისი უწმინდესობა გადადგებოდა. ხომ არ იცით, ვისგან შეიძლება მოდიოდეს ამ ინფორმაციების გავრცელება და რა მიზნით?**

– ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, რომ საპატრიარქოში იყვნენ და არიან წინა ხელისუფლების მხარდამჭერები, არიან სასულიერო პირები, რომლებიც ღიად პოლიტიკურ პროცესებში არ ერევიან და პირველ რიგში, ეს არის პატრიარქი. ის ქადაგებაში ამბობს ყველაფერს. არის მესამე ჯგუფი სასულიერო პირებისა, რომლებიც კატეგორიული წინააღმდეგები არიან წინა ხელისუფლების მართვის სტილის. სასულიერო პირი ისეთივე ადამიანია, როგორც მე და თქვენ იმ საკითხებში, რაც არ ეხება ღვთისმსახურებას, თუმცა ზოგიერთმა მეუფემ თავი გამოიჩინა იმით, რომ მონასტრის ეზოში აკრავდა სააკაშვილის პლაკატებს. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც შეურიგებელ დაპირისპირებაში შევიდნენ წინა ხელისუფლებასთან. ეს არის მოცემულობა. ახლა ამ საკითხებზე სხვადასხვა აზრი განაპირობებს კამათს და პოლემიკას წმინდა სინოდში. ამიტომ დასამალი არ არის, რომ სინოდის დახურული სხდომები პერმანენტულად იმართება და მასზე მეუფეები საუბრობენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც გარეთ გამოსატანი არ არის. საპატრიარქო არის უმნიშვნელოვანესი და უავტორიტეტესი ინსტიტუცია და მცდელობები წინა ხელისუფლებისა და ახალი ხელისუფლების მხრიდანაც, რომ ის ერთი რიგითი კონფესიის დონეზე ჩამოიყვანონ, არანაირი წარმატებით არ დასრულდება. ეს არ არის უბრალოდ კონფესია. ილია ჭავჭავაძე ამბობდა, რომ მართლმადიდებლობა არ იყო ჩვენთვის მარტო სარწმუნოება, ეს იყო ის, რამაც ჩვენი ერი გადაარჩინა.

**— მაგრამ თქვენ ხომ კარგად იცით, რომ წინა ხელისუფლების დროს დიდი მცდელობები იყო ეკლესიის დისკრედიტაციის, თითქოს ხელისუფლება ვერ ეგუებოდა ეკლესიის განუზომელ ავტორიტეტს. ახლა იგივე რატომ გრძელდება, ხელისუფლებაში მოსვლამდე სულ პატრიარქის მზეს არ ფიცულობდნენ?**

– ახლა სიტუაცია როგორია? ამ ანტიდისკრიმინაციული კანონის ასე სტახანოვურად, დაჩქარებული წესით მიღება მოხდა მაშინ, როცა პატრიარქი გეუბნება, არ მიიღოთო. მე თუ მკითხავთ, ეს კანონი არის შეურაცხყოფა ყველა მათთვის, ვინც საქართველოში ცხოვრობს. აქ თანდაყოლილი ტოლერანტობის სინდრომი რომ არ არსებობდეს, ეს ქვეყანა ვერ გამოივლიდა აქამდე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შენი პირადი ცხოვრება მომახვიო თავს და მაიძულო, ვაღიარო ის, როგორც კარგი. ბევრმა არ იცის, რას ნიშნავს სიტყვა „გეი“. ეს არის აბრევიატურა და იშიფრება ასე: „გუდ ეს იუ“ – „შენსავით კარგი“. ამის აღიარება მართლმადიდებელი პირისთვის და მით უმეტეს სასულიერო პირისთვის დამღუპველია, პირდაპირ ეწინააღმდეგება მართლმადიდებლობის საფუძვლებს.

**— სხვათა შორის, პატრიარქის მოწოდებების მიუხედავად, სინანულიც კი არავის გამოუთქვამს ამ კანონის მხარდამჭერებიდან.**

– საქმეც ესაა, ახალმა ხელისუფლებამ გაიმეორა იგივე, რასაც ძველი აკეთებდა. შეკრებილი იყო აბსოლუტური უმცირესობა, ხელში ჰქონდა ჩაგდებული უმრავლესობის პოზიციები და გეგმავდნენ, როგორ უნდა გვეცხოვრა ჩვენ. ახალმა ხელისუფლებამ ამ კანონის მიღებით არჩევნების წინ ამომრჩეველს უთხრა, მე არ მაინტერესებს შენი აზრი, მე უკეთ ვიცი, შენ როგორ უნდა იცხოვროო.

**— ამბობთ, რომ ეს ხელისუფლება „ნაციონალებზე“ უარესად იქცევა, არადა არჩევნების წინ ერთმანეთს ასწრებდნენ ეკლესიაში სანთლით ხელში კამერების წინ დაფიქსირებას. პატრიარქისა და ზოგადად ეკლესიის წინააღმდეგ წასვლა რაში აწყობს ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ? ეს ხომ აპრიორი წამგებიანია პოლიტიკურად?**

– დიახ, ასეა. გულის სიღრმეში ყველანი მივიჩნევთ, რომ ჩვენი ხელისუფლება ჩვენზე ჭკვიანი უნდა იყოს. როგორც ირკვევა, ხალხი მათზე ჭკვიანია. ჩვენ მუდმივად ვეძებთ პრაგმატულს და საღ აზრს მათ ქმედებებში, მაგრამ ამაოდ. იმ ქვეყანაში, სადაც ბავშვები შიმშილით ილუპებიან და მათხოვრებით გაივსო ქუჩები, მინისტრი რომ 80 000 ლარს იღებს პრემიის სახით, ეს შეიძლება საღ აზრთან რამე კავშირში იყოს? არა, მაგრამ აკეთებენ ამას.

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## იეღოვას მოწმეთა სამლოცველოს აშენებას აპროტესტებენ



თერჯოლაში მოსახლეობამ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მიმდინარე მშენებლობის შეწყვეტის მოთხოვნით აქცია გამართა. აქციის მონაწილეების თქმით, ორი ძმის ქუჩაზე იეღოვას მოწმეები სამლოცველოს აშენებენ, რის უფლებასაც არ მისცემენ. მათი განმარტებით, მშენებლობის შეწყვეტის მიზნით ისინი ხელმოწერების შეგროვებას იწყებენ.

აქციის მონაწილეები ადგილობრივ ხელისუფლებას სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტაში დახმარებას სთხოვენ. (ნიუპოსტი)

## ნატო-ში „მაპ“-ის გარეშეც მიგვიღებენ?



საგარეო საქმეთა მინისტრი გერმანიის კანცლერის განცხადებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც „მაპ“-ის მინიჭების საკითხი ნატო-ს მომდევნო სამიტის თემა არ იქნება. ის მიიჩნევს, რომ საქართველო კრიტერიუმებს გარკვეულწილად უკვე აკმაყოფილებს:

„რასაკვირველია, შესაძლებელია ნატო-ში გაწევრიანება „მაპ“-ის გარეშე. „მაპ“-ი არის ინსტრუმენტი, რომელმაც უნდა მოამზადოს ქვეყანა ნატო-ს წევრობისთვის. ჩვენ გვაქვს ორი მექანიზმი, პირველია ნატო-საქართველოს კომისია, მეორე კი წლიური ეროვნული პროგრამა. ორივე ფორმატში ძალიან წარმატებულად ვთანამშრომლობთ, აქედან გამომდინარე, საქართველო კრიტერიუმებს გარკვეულწილად უკვე აკმაყოფილებს და სრულიად შესაძლებელია, რომ „მაპ“-ის გარეშეც მოხდეს მისი გაწევრიანება“, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

„როგორც გერმანიის ფედერალურმა კანცლერმა აღნიშნა, არსებობს ბევრი გზა იმისთვის, რომ საქართველოში მიღწეული პროგრესი ადეკვატურად იყოს ასახული. თუ რა გზებია ეს, ამაზე ჩვენ გვქონდა ლაპარაკი, ეს ჯერჯერობით არ ექვემდებარება საჯარო განხილვას, ალიანსის წევრი ქვეყნები ამაზე მსჯელობენ. არსებობს სხვადასხვა საშუალებები, როგორ შეიძლება ეს პროგრესი აისახოს და ეს აუცილებლად მოხდება უელსის სამიტზე“, – დასძინა ფანჯიკიძემ. (ნიუპოსტი)

## თბილისში ძლიერი წვიმის გამო სახლი ჩამოინგრა



2 ივნისის ღამეს, ძლიერი წვიმის შედეგად, ძველ თბილისში ნინო ჩხეიძის ქუჩა №37-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის ნაწილი ჩამოინგრა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე მობილიზებულები იყვნენ სამაშველო ბრიგადები.

თვითმხილველების განცხადებით, სახლის ნაწილის ჩამონგრევა ძლიერმა წვიმამ გამოიწვია.

ძლიერი წვიმის გამო ცოტნე დადიანის გამზირზე გზის საფარი მნიშვნელოვნად დაზიანდა, რის გამოც ტრანსპორტის მოძრაობა შეფერხდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სინოდის სხდომაზე პირველი მღვდელმთავარი იოანე წმინდანად შეირაცხა



მიტროპოლიტ ზოსიმეს განცხადებით, სინოდის სხდომაზე რამდენიმე საკითხი იქნა განხილული. მისი თქმით, „ეკლესიის პირველი მღვდელმთავარი მთავარეპისკოპოსი იოანე წმინდანად იქნა შერაცხული. ასევე დასავლეთისთვის ორი ახალი მღვდელმთავარი იქნა გამოყოფილი, ერთი ამერიკისთვის და ერთი – საინგილოსთვის. ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც სხდომაზე იქნა განხილული“, – განაცხადა მიტროპოლიტმა.

წმინდა სინოდის სხდომა 3 საათი გაგრძელდა და მას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე თავმჯდომარეობდა. (ნიუპოსტი)

## კანონის დარღვევისთვის აზერბაიჯანის მოქალაქე დააჯარიმეს

შემოსავლების სამსახურის ცნობით, 2 მაისს, დაახლოებით 23:00 საათზე, საბაჟო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ ტერიტორიაზე, აზერბაიჯანის მხრიდან შემოვიდა მსუბუქი ავტომანქანა, რომელსაც აზერბაიჯანის მოქალაქე ჯ.ა. მართავდა. იმის გამო, რომ მგზავრს რამდენიმე საათით ადრე „ტაქსიფრი“-ს გამოყენებით ექსპორტზე გატანილი ჰქონდა დიდი ოდენობით მობილური ტელეფონი, მებაჟე-ოფიცრებს ეჭვი გაუჩნდათ. დეტალური დათვალიერებისთვის ავტომანქანა სპეციალურ ანგარში გადაიყვანეს, სადაც აღმოჩნდა, რომ სავარძლის საზურგეებში, ძრავის განყოფილებაში (კერძოდ, ჰაერის ფილტრებში) და საბარგულში (ე.წ. „ჩეინჯერში“) დამალული იყო 10 ცალი ტელეფონი, ერთი ცალი პლანშეტური კომპიუტერი და ტელეფონის აქსესუარები, კერძოდ: 16 ცალი დამტენი, 16 ცალი საყურისი და ერთი ცალი ელემენტი. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღნიშნული საქონლის ღირებულებამ 3467,03 ლარი შეადგინა.

საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, აზერბაიჯანის მოქალაქე დაჯარიმდა არადეკლარირებული, დამალული საქონლის ღირებულების 100%-ის ოდენობით და სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 3467,03 ლარი. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*



— **და რატომ აკეთებენ?**

– იმიტომ, რომ ეს მინისტრები ჩვენს წინაშე კი არ გრძნობენ თავს ანგარიშვალდებულებად, არამედ ქვეყნის გარეთ ვინც ახდენს მათ ლეგიტიმაციას, იმათ წინაშე არიან ვალდებულნი. ამიტომაც აკეთებენ იმას, რაც მათ მიაჩნიათ, რომ საზღვარგარეთ მოეწონებათ.

— **კი, მაგრამ ასეთ მმართველობას ხომ უარი ვუთხარით არჩევნებზე, ახლა იგივეს რატომ იმეორებენ, ეს პოლიტიკური სამარის გათხრა რომ არის მათთვის, ჩვენს გარეშეც ხომ ხვდებიან ამას?**

– მათ მიაჩნიათ, რომ ჯერ ძალიან ცოტა დროა გასული და უნდა ვაცადოთ. ახლო მანძილიდან მაქვს ეს სცენა ნანახი. როცა ხელისუფლებაში ხვდებიან ხოლმე, ერთ დახურულ წრეში იკრიბებიან, მეტ-ნაკლებად ყველას ყველა პრობლემა აქვს მოწესრიგებული, არიან საკმაოდ დიდი ფუფუნების მდგომარეობაში და ეუფლებათ ილუზია, რომ ეს ასე იქნება მუდმივად. ახლა ესენი თამაშობენ, ვითომ მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალაა საქართველოში, „ნაციონალები“ და „ოცნება“, ერთმანეთთან შეწყობილია ეს პროცესი. მოიგონეს კოჰაბიტაცია, რომ „ნაციონალები“ გადაერჩინათ. ახლა ვარაუდობენ, რომ, თუ უმრავლესობაში არა, უმცირესობაში ხომ მაინც იქნებიან? ანუ მაინც მაღალი ხელფასები, პრემიები და დეპუტატის პრივილეგიები ექნებათ, ანუ დაგეგმილია, რომ ხან ერთი იქნება ხელისუფლებაში, ხან – მეორე. ჩვენ კი უნდა ვუყუროთ ამ ფერხულს.

— **ანუ მომავალ არჩევნებზე ერთმანეთს დააზღვევენ?**

– ეს მათი ვარაუდია, ჩემი ვარაუდით კი, ადგილობრივი თვითმმართველობები იქნება მრავალპარტიული. არ იქნება ორპარტიული, თბილისში გამარჯვების დიდი შანსი აქვს დიმა ლორთქიფანიძეს.

**„ივანიშვილი მიდის პოლიტიკიდან და ამას წინათ ვიღაცამ იხუმრა, ნეტავ, სამოქალაქო სექტორიდანაც ხომ არ წასულაო? არ ჩანს არსად. ამ კონფიგურაციას კიდევ აიტანდა ამომრჩეველი, მაგრამ ამ იმედგაცრუების ატანა ისე გართულდა, რომ ვადამდელი არჩევნების დანიშვნის სურვილი არის“**

— **თქვენ იყავით ცესკოს თავმჯდომარე, როგორ გგონიათ, თუ უმრავლესობამ ახლა არ მიმართა ნაცად ხერხს და არჩევნები არ გააყალბა, რა შედეგებს მიიღებს?**

– ყველაზე რეალური შედეგი დაიდო 2003 წელს, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა რევოლუციას. სულ რომ ჩაგვჩიჩინებენ ამას, არჩევნების შედეგები სულაც არ არის რევოლუციის გამომწვევი ან პირიქით. ანუ მაშინ ყველაზე ადეკვატური შედეგი იყო, 6 პარტია მოხვდა პარლამენტში. მთავარი ისაა, რომ ხალხში ღვივდება აგრესია დაპირებების შეუსრულებლობის გამო, მეორეა, რომ ხალხი ხედავს, ესენი „ნაციონალებს“ ვერ ჯობნიან, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობაში არიან. ეს მათი ერთნაირი რიტორიკა ყველასთვის გამაღიზიანებელია. რაც შეეხება რეალურ შედეგს, ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ არჩევნები არ ყალბდება ცესკოში, ცესკოს შეუძლია მხოლოდ შეკრიბოს ოლქებიდან მოსული შედეგები და მიმატება-გამოკლების გარდა, არაფერი ეხერხება. ყველა უნდა იყოს გაფაციცებული უბანზე, თუკი გაყალბება მოხდება, მოხდება უბანზე.

— **არც უბანზეა საიმედო მდგომარეობა და როგორ?**

– საქმეც ისაა, რომ უბანზე დამკვირვებლებად „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ ჰყავთ წევრები, სხვას ჰყავს წარმომადგენლები. აი, აქაა პრობლემა. პრაქტიკულად, პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებენ „ოცნება“ და „ნაციონალები“. ჩემი პროგნოზით, იმდენად დიდია უკმაყოფილება ხალხის მხრიდან მათ მიმართ, რომ არ გამოვრიცხავ, ოპოზიციამ ადგილებზე მოიპოვოს ხმები. ვინც იმის გამო არ წავა არჩევნებზე, რომ არც „ნაცებს“ ენდობა და არც „ოცნებას“, ის ავტომატურად ირჩევს რომელიმე მათგანს და ამას შეეგუოს.




**„საპატრიარქო არის უმნიშვნელოვანესი და უავტორიტეტესი ინსტიტუცია და მცდელობები წინა ხელისუფლებისა და ახალი ხელისუფლების მხრიდანაც, რომ ის ერთი რიგითი კონფესიის დონეზე ჩამოიყვანონ, არანაირი წარმატებით არ დასრულდება. ეს არ არის უბრალოდ კონფესია“**

— **რამდენად რეალურად უყურებთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. მოსახლეობას უკვე ყელში ამოუვიდა ეს ხელისუფლება და ასეთი მოლოდინი უკვე მოსახლეობის უმეტესობაშია.**

– ეს პარლამენტი იმთავითვე არ აკმაყოფილებდა ამომრჩეველს თავისი შემადგენლობით, მაგრამ ერთი ადამიანის ავტორიტეტმა გადაწონა. ამის შემდეგ მის მიერ დადებული დეპუტატების სია იღებს ხმებს. ამის შემდეგ ივანიშვილი მიდის პოლიტიკიდან და ამას წინათ ვიღაცამ იხუმრა, ნეტავ, სამოქალაქო სექტორიდანაც ხომ არ წასულაო? არ ჩანს არსად. ამ კონფიგურაციას კიდევ აიტანდა ამომრჩეველი, მაგრამ ამ იმედგაცრუების ატანა ისე გართულდა, რომ ვადამდელი არჩევნების დანიშვნის სურვილი არის. პარლამენტი უნდა შეიქმნას ამომრჩევლის შეხედულებების მიხედვით და არა იმის მიხედვით, ერთმა კაცმა დააკომპლექტოს, მერე წავიდეს და შენ შეგრჩეს ის, რაც იმთავითვე არ მოგწონდა. არც ერთი ხელისუფლება თავისი ნებით არ დათმობს ძალაუფლებას, ამიტომ საზოგადოებაში უნდა იყოს განწყობა, რომელიც აიძულებს ხელისუფლებას დათმობებზე წასვლას. ან არის მეორე გზა, თუ შიგნით, მმართველ კოალიციაში ხდება ინტერესთა ისეთი შეჯახება, რომ ავტომატურად მივდივართ ამ სიტუაციამდე. არც ეს არის გამორიცხული.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დარიალის ხეობაში დროებითი გზა გაიხსნება



დარიალის ხეობაში დროებითი სატრანსპორტო გზა რამდენიმე დღეში გაიხსნება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, სავალი გზის აღდგენითი სამუშაოები ახალ ფაზაში გადავიდა.

„17 მაისს, დევდორაკის ხევიდან მოვარდნილი დიდი მოცულობის ღვარცოფისა და რთული კლიმატური პირობების მიუხედავად, მუშაობა 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობს. დამეწყრილი ტერიტორიის გაწმენდას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და სახელმწიფო სამშენებლო კომპანია ახორციელებენ. მიმდინარე სამუშაოების მიზანი დროებითი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაა. ადგილზე 70 ერთეული ტექნიკა და 170-მდე თანამშრომელი უწყვეტ რეჟიმში მუშაობს. მეწყერის ჩამონლის დღიდან, პრემიერ-მინისტრის დავალებით, შეიქმნა საგანგებო შტაბი, სადაც გზის გაწმენდითი და სამძებრო-სამაშველო სამუშაოების დასაგეგმად სხდომები იმართება.

დღეის მდგომარეობით, უკვე მოხერხდა ახალი კალაპოტის გაჭრა და მეწყრის შედეგად დაგუბებული წყლის გადინება, რამაც დატბორილი ადგილი გაათავისუფლა. გრძელდება მდინარე თერგის კალაპოტის გაღრმავების სამუშაოებიც.

ადგილზე მომუშავე პერსონალის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, დევდორაკის ხეობის ყველაზე მაღალ წერტილებში შექმნილია რამდენიმე საგუშაგო, საიდანაც მეწყერსაშიშ ზონებზე დაკვირვება და მომუშავე ჯგუფებთან მუდმივი რადიოკავშირი ხორციელდება. (ნიუპოსტი)

## უვადო პატიმრობამისჯილები შიმშილობას იწყებენ



უვადო პატიმრობამისჯილი 70-მდე პატიმარი შიმშილობას იწყებს. ამის შესახებ ტელეკომპანია „იმედს“ გლდანის №8 საპატიმროდან თავად პატიმრებმა აცნობეს. პატიმრების განცხადებით, პროტესტის უკიდურეს ფორმას ის მსჯავრდადებულებიც მიმართავენ, რომლებიც დიაბეტით არიან დაავადებულნი.

პატიმრები საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას სთხოვენ, ამნისტიის შესახებ კანონში ცვლილებები შეიტანონ.

„მოვითხოვთ ამნისტიის კანონის აღსრულებისას დაშვებული ხარვეზების და ჩვენ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის გამოსწორებას. ასევე, უვადო სასჯელისგან პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლების 5-წლიანი ზღვარის ევროსტანდარტებამდე დაწევას და ასევე, ძალაში შესული უკანონო განაჩენების გადახედვის ეფექტური მექანიზმის შექმნას“, – განაცხადა პატიმარმა გიორგი მგელაძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სუბარს ყველა ციხის დირექტორი დაუწუნეს



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი მე-7 დაწესებულების დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლებას ეხმაურება. მისი თქმით, დირექტორის მოადგილის მიმართ მიღებული იქნა ყველაზე მკაცრი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა და განთავისუფლდა თანამდებობიდან.

რაც შეეხება იმას, ვინ შეიძლება დაინიშნოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ, სუბარის თქმით, ეს არის სფერო, სადაც სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებამ შესაძლოა, გარკვეული პრობლემები შექმნას.

„სიმართლე გითხრათ, წელიწად-ნახევრის განმავლობაში, რაც მინისტრი ვარ, არ დამინიშნავს არც ერთი დირექტორი, რომლის დანიშვნას არ მოჰყოლოდა პროტესტი, შიმშილობა და თვითდაზიანებები და შემდეგ იგივე ადამიანის მოხსნას არ მოჰყოლოდა იგივე შედეგი. ამიტომაც სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას ვერიდებით“, – აღნიშნა სუბარმა. (ნიუპოსტი)

## ნორლანდი საქართველოს დაფასებას ელოდება



საქართველოში აშშ-ის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნატო-ს მომდევნო სამიტზე მოხდეს საქართველოს პროგრესის შეფასება.

„მიმაჩნია, რომ მოკავშირეები ამჟამად არიან იმ ეტაპზე, როდესაც იღებენ გადაწყვეტილებას, როგორ მოხდეს დაფასება და სათანადო შეფასება იმ უზარმაზარი პროგრესის, რომელიც აქვს საქართველოს ნატო-ს წევრობის გზაზე ყველა აუცილებელი კრიტერიუმის დაკმაყოფილების მხრივ. კვირის ბოლოს იქნება შეხვედრა, სადაც მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლები უელსის სამიტთან დაკავშირებით იმსჯელებენ“, – აღნიშნა ნორლანდმა. (ნიუპოსტი)

# პროფკავშირები პედაგოგებს გაფიცვისთვის ამზადებენ?

**„ალიას“ ესაუბრება პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი მაია კოზახიძე:**

– დიდი ხანია, განათლების სისტემაში არსებობს სერიოზული პრობლემები, რის ძირითად მიზეზადაც მიგვაჩნია სისტემაში ჩატარებული მოუმზადებელი რეფორმები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ, თუ ხელისუფლებამ არ ჩამოაყალიბა მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული განათლების რეფორმის ერთიანი კონცეფცია და მხოლოდ ცალკეული მიმართულებებით შემოიფარგლა, ასეთ შემთხვევაში რეფორმების ჩატარების პროცესი გაჭიანურდება და შედეგს ვერ მივიღებთ. უკანასკნელ ათწლეულში განვითარებულ მოვლენებს თუ გავაანალიზებთ, დასკვნა ერთია: სისტემატურად ვანგრევთ ძველს, მაგრამ ვერ ვიღებთ ახალს. ამის შედეგად მივიღეთ გაუარესებული სწავლების ხარისხი, ამავე დროს გაჭიანურებულ და არასწორად წარმართული რეფორმების პერიოდში დაზარალდნენ არა მარტო მოსწავლეები, არამედ პედაგოგთა საზოგადოება, ამან კი გამოიწვია მასწავლებელთა ავტორიტეტის შელახვა. მასწავლებელს ხელისშემშლელად უამრავი ფაქტორი აქვს, საიდანაც გამოვყოფდი უვარგის სახელმძღვანელოებს, სასწავლო პროგრამებს, სწავლების მეთოდიკასა და სერტიფიცირებას, როგორც პედაგოგთა სადამსჯელო ღონისძიებას, რომელმაც საზოგადოებაში მასწავლებლის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შელახა.

**— ანუ, რეფორმის ყველა ნაკლოვანება მასწავლებელს ჰბრალდება?**

– აბსოლუტურად და ამ პროცესში მასწავლებლები გვევლინებიან განტევების ვაცად. მასწავლებლის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება ისევ უმთავრეს პრობლემად რჩება: განვლილი გზის ანალიზის დროს ვიღებთ სურათს, რომ სახელმწიფოს, პრაქტიკულად, არ აინტერესებს მასწავლებლების შრომითი და სოციალური პირობების გაუმჯობესება.



**— რატომ ხდებოდა და ხდება ასე? რატომ არ უნდა ჰქონდეს პედაგოგს შესაბამისი ხელფასი?**

– დღემდე ჩატარებული ყველა რეფორმის დროს მასწავლებელთა ხელფასების გაზრდის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრული იყო მასწავლებლის სხვადასხვა დონის კვალიფიკაცია. ანუ მასწავლებლებს მიენიჭათ კატეგორიები, შემდეგ დაიწყო სერტიფიცირების პროცესი და სერტიფიცირებული მასწავლებლის ხელფასი სასერტიფიკაციო 75-ლარიანი დანამატი განისაზღვრა, ასევე, ვინც პედაგოგების ინტეგრირებული გამოცდა ჩააბარა, მათთვის სახელმწიფომ განსაზღვრა 125-ლარიანი დანამატი, ან 1000 ლარამდე ხელფასის მატება. ერთი სიტყვით, ეს მექანიზმები იყო ჩადებული იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს ასეთი მიდგომებით ვალდებულება მოეხსნა 68 000-იანი პედაგოგთა არმიის წინაშე ხელფასების გაზრდისა და სოციალური მდგომარეობის პირობების გაუმჯობესების გამო. ანუ, მიაღწევს მასწავლებელი რაიმე დონეს, აიმაღლებს კვალიფიკაციას, ამ შემთხვევაში მოემატება ხელფასი, რაც ჩვენი ორგანიზაციისთვის მიუღებელია.

**— რატომ? არ მოხდა პედაგოგების დაინტერესება?**

– ამან გამოიწვია პედაგოგების დემოტივირება და კატასტროფულად შემცირდა ამ პროფესიის ინტერესი და ნდობა. ამიტომ არ ხდება ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და პროფესია გახდა არაპრესტიჟული. თავად სტატისტიკამ აჩვენა, რომ დღეს სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი დაახლოებით 700 ლარია, რასაც ბევრად ჩამორჩება პედაგოგთა საშუალო ხელფასი, რაც შეადგენს 340 ლარს, და ეს მიდგომა არის საგანგაშო სახელმწიფოს მხრიდან, ვინაიდან, ჩვენი აზრით, პირველ რიგში, უნდა გაიზარდოს მასწავლებლის საბაზისო ხელფასი, რომელიც 2012 წლის დეკემბრისთვის იყო 240 ლარი. ამის შემდეგ პირველი ეტაპი საბაზისო ხელფასის გაზრდისა 2013 წლის პირველი იანვრიდან გახდა 325 ლარი და მორჩა, საბაზისო ხელფასის გაზრდაზე საერთოდ შეწყდა საუბარიც კი. ჩვენ როგორც კი დავადგინეთ, რომ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი ორჯერ მეტია მასწავლებლის შემოსავალზე, გამოვედით ინიციატივით, გაზრდილიყო საბაზისო თანხა.

**— რაში მდგომარეობს თქვენი მოთხოვნა?**

– მასწავლებელთა ახალი პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მასწავლებლის ოთხი კატეგორია დასახელდა და განათლების მინისტრის განცხადებით, ამ კატეგორიების მიხედვით იქნება სახელფასო განსხვავებებიც. ჩვენი მოთხოვნაა, რომ ჯერ საწყისი თანხა უნდა შევთავაზოთ მესამე კატეგორიის, ანუ ბოლო დონის მასწავლებლებს საბაზისო ხელფასის სახით, ვინაიდან ყველა სიახლე, რაც კი ინერგება და უნდა განხორციელდეს, ამის გამკეთებელია სწორედ ამ კატეგორიის პედაგოგი და, თუ გავიხსენებთ ბოლო წლებში სოციალურ პროგრამებს, ამ პროგრამებში ჩართული იყვნენ მასწავლებლები და სოციალურად დაუცველები, რამაც კიდევ უფრო არაპრესტიჟული გახადა ეს სპეციალობა: პედაგოგი გაუთანაბრდა სოციალურად დაუცველ ფენას.

**— თავად სტანდარტის მიხედვითაც წარმოუდგენელია, რომ პედაგოგმა მიაღწიოს უმაღლეს თანრიგს, ისეთი მოთხოვნები ყოფილა ამ პროექტში.**

– საქმეც მაგაშია: საქართველოში ძალიან ბევრი არასერტიფიცირებული, მაგრამ გამოცდილი და კვალიფიციური მასწავლებელია, ანუ, პრაქტიკოსი პედაგოგია, რომლებიც შედეგზე ორიენტირებულები არიან, ავტომატურად მიენიჭებათ მესამე კატეგორია და დარჩებიან იგივე ხელფასზე, ხოლო შემდეგ უკვე დონეებზე იქნება განსხვავება. ეს მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან ჩვენთვის მიუღებელია და ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო არ აფასებს ამ პროფესიას, ამიტომ ვამბობთ, რომ ამისთვის ჯერ საბაზისო ხელფასი უნდა გაიზარდოს და შემდეგი 2-3 წლის განმავლობაში

*გაგრძელება მე-8 გვ.*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „არასდროს დამავიწყდება კარავი, რომელიც ერგნეთში ვნახე“



შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი, დიდიე ბურკჰალტერი ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის მუშაობას გაეცნო.

„ჩემი ვიზიტის მთავარი მიზანია, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ჯგუფის წარმომადგენლებს მადლობა გადაგიხადოთ თქვენი პრაგმატული მუშაობისთვის. ეს შეხვედრა გახლავთ ჩემი, როგორც ეუთო-ს თავმჯდომარის ვიზიტის ნაწილი სამხრეთ კავკასიაში. ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენს მიერ ჩატარებულმა სამუშაომ, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურობასა და უსაფრთხოებას ადგილზე. აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, თქვენ კარგ მაგალითს იძლევით იმისა, როგორი უნდა იყოს თანამშრომლობა გამყოფი ხაზების გასწვრივ. უსაფრთხოების ჯგუფი ყოველთვიურად იკრიბება კარავში და ერთობლივად განიხილავს უსაფრთხოების საკითხებს და ცდილობს კონფლიქტში დაზარალებულების ცხოვრების გაუმჯობესებას. ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, გახსოვდეთ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლში მცხოვრებთა საჭიროებები და უფლებები. მე არასდროს დამავიწყდება კარავი, რომელიც აქ დღეს ვნახე“, – განაცხადა ბურკჰალტერმა. (ნიუპოსტი)

## „პოლიტიკა — ყველაზე მაგარი ბიზნესი საქართველოში“



უცხოეთში მცხოვრები ქართველი ხელოვანის, პაატა ქურდაძის განცხადებით, „სანამ პოლიტიკა და ჩინოვნიკობა ყველაზე მაღალანაზღაურებადი ბიზნესი იქნება, ამ ქვეყანაში ნამდვილად არაფერი არ განვითარდება და მას ნამდვილად არაფერი ეშველება“.

მისი ეს განცხადება პარტიების ლიდერების ყოველთვიური მაღალი ხელფასების სიის გამოქვეყნებას მოჰყვა.

„რაც არ უნდა ტყუილი იყოს ეს მონაცემები, პოლიტიკა რომ ყველაზე მაგარი ბიზნესია საქართველოში, არა მგონია, ამაში ვინმე შემომედაოს“, – დასძენს ხელოვანი.

„ცუდი ის არის, რომ სახელმწიფო სამსახური და პოლიტიკა არ შეიძლება „ბიზნესი“ და მით უმეტეს, ყველაზე მაგარი ბიზნესი იყოს ნორმალურ ქვეყანაში, ჩინოვნიკები კი – ყველაზე მაღალი ბურჟუაზია, ასეთ ქვეყანაში მე გავიზარდე და მას რა დაემართა მგონი. ყველამ კარგად იცის“. (ნიუპოსტი)

## ურეკში მამაკაცმა მეგობრები გადაარჩინა, თავად კი დაიხრჩო



ურეკის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე ზღვაში 27 წლის დავით ლომაძეს ეძებენ. აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის ცენტრში აცხადებენ, რომ ზღვაში სამძებრო ღონისძიებები 2 ივნისს 18:00 საათზე დაიწყო, თუმცა ძებნა უშედეგოდ მიმდინარეობს. ლომიძე ზღვაში ორი ადამიანის საშველად შევიდა, თუმცა თავად ზღვიდან გამოსვლა ვეღარ შეძლო.

„18:00 საათზე 112-დან შემოვიდა შეტყობინება, რომ ურეკში ზღვაში დაიხრჩო 27 წლის დავით ლომაძე, რომელმაც ორ ადამიანს უშველა, თვითონ კი ვეღარ შეძლო ზღვიდან გამოსვლა, სანაპიროდან ტალღამ ჩაითრია და დაიკარგა“, – აღნიშნა აჭარის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის ცენტრის უფროსმა მამუკა თურმანიძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ობამამ საქართველოს ფულს უყოფს



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხთა სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილის განმარტებით, აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადება გულისხმობს „აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების, მათ შორის საქართველოსთვის ერთობლივი წვრთნების, თავდაცვითი საშუალებების გაძლიერებისა და გაუმჯობესებისთვის კონკრეტული თანხების გამოყოფას... ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილი საქართველოსთვის, ჩვენი გრძელვადიანი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მიმართულებით მოხდება სერიოზული ინტენსიფიკაცია კონსულტაციების, როგორც ორმხრივად აშშ-სთან, ისე ნატო-ს სხვა დანარჩენ პარტნიორებთან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შეხვედრების ფორმატში“, – განაცხადა პეტრიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ბარაკ ობამამ ერთი მილიარდი დოლარის გამოყოფის მოთხოვნით კონგრესს მიმართა და ეს თანხა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე განაწილდება, მათ შორის საქართველოზეც.

ობამას განცხადებას ეხმაურება საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიგი წერეთელიც: „ჩვენ ვნახეთ, რომ მიუხედავად ეკონომიკური სანქციებისა, რუსეთი მაინც აგრძელებს თავისი სტრატეგიით მოქმედებას, ძალიან საფრთხის შემცველი ვითარებაა აფხაზეთშიც, სამხრეთ ოსეთშიც, ამიტომ ობამას ინიციატივა ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა მოახერხონ თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და წინ აღუდგნენ რუსეთის გეგმებს“.

„ნაციონალი“ დეპუტატის, გია ბარამიძის თქმით, „როცა ყველამ დაინახა, რომ რუსეთს აქვს საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმა და სახელმწიფოებმა რაც არ უნდა აკეთონ, ის ყველა შემთხვევაში ცდილობს, საკუთარ გეგმას მიაღწიოს, ობამას ეს გადაწყვეტილება ძალიან დროულია. თუ რუსეთი დაინახავს, რომ ადვილად შეუძლია, ესა თუ ის სახელმწიფო გადაყლაპოს, ამას უფრო მეტი ენთუზიაზმით გააკეთებს და დიდი იქნება ალბათობა რუსეთის აგრესიული ქმედებებისა“. (ფრონტნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

მასწავლებელთა საბაზისო ხელფასის ინტენსიური ზრდა უნდა მივიდეს იმ ზომამდე, რომ პედაგოგის საშუალო ხელფასი საჯარო მოხელის ხელფასს გაუთანაბრდეს, ამისთვის ყოველთვიურად უნდა მოხდეს საბაზისო ხელფასის მატება. ეს კი შემდეგ უკვე ავტომატურად გამოიწვევს დონეებს შორის განსხვავების გაზრდასაც, თანხის მატება კი არის სახელმწიფოს ვალდებულება.

**— კი, მაგრამ სახელმწიფოს აქვს ამის რესურსი? ხომ ფაქტია, რომ მასწავლებლებმა ვერ მიიღეს მე-13 ხელფასი, რომელსაც ხელისუფლება იყო დაპირებული?**

– ამიტომ ჩვენ სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტის გათვალისწინებით მოვითხოვთ თანხის მატებას უახლოესი წლების მანძილზე და არა დღესვე. რაც შეეხება მე-13 ხელფასის გაუცემლობას, ასეთი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, მიუღებელია, რადგანაც სახელმწიფომ დაპირება უნდა შეასრულოს და პედაგოგთა შრომისა და სოციალური პირობების გაუმჯობესებისთვის უნდა იზრუნოს მაშინ, როცა სამინისტროების სსიპ-ებში არსებობს პრემიების პროგრამა და ჩვენ ვნახეთ, რა პრემიებს იღებენ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულები. ამ დროს ჩვენთან ჯერ კიდევ არ განხორციელებულა პედაგოგების საპრემიო სისტემა. ესაა ნათელი დადასტურება იმისა, როგორი დამოკიდებულება არსებობს პედაგოგების მიმართ.



**„მასწავლებელთა ახალი პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მასწავლებლის ოთხი კატეგორია დასახელდა და განათლების მინისტრის განცხადებით, ამ კატეგორიების მიხედვით იქნება სახელფასო განსხვავებებიც“**

**— და რატომ ხდება ასეთი აგდებული დამოკიდებულება? თავად საჯარო სკოლაც ხომ სსიპ-ია და მაშინ რატომ არ ვრცელდება ეს სიკეთე სკოლებზე?**

– ეს საკითხი, ცხადია, გამოსასწორებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლა დარჩება მასწავლებლის გარეშე: ახალგაზრდა კადრები არ შემოვლენ და პროფესია, ფაქტობრივად, ჩიხში მოექცევა.

**— თქვენს წინადადებაზე ესაუბრეთ განათლების მინისტრს?**

– ჩვენ მინისტრს გავუგზავნეთ საბაზო ხელფასის გაზრდასთან დაკავშირებით წერილი, რაზეც პასუხი ჯერ არ მიგვიღია.

**— დიდი ალბათობით, სამინისტრო გამოგზავნის პასუხს, სადაც ეწერება, რომ საამისოდ თანხა არ არსებობს.**

– ბუნებრივია, ამ ეტაპზე ეს გასაგებია, მაგრამ ახალი ბიუჯეტის განხილვა რომ დაიწყება, მაშინ არ გამოვრიცხავთ, რომ პროფკავშირის კანონით აღიარებულ უფლებებსაც გამოვიყენებთ, რაც ბრძოლის არსენალში აქვთ პროფკავშირებს, და თუ საბაზო ხელფასი არ გაიზრდება, აქციებს დავიწყებთ. მანამდე ასევე ვესაუბრეთ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს და თამამად ვიტყვი, რომ პარლამენტარების მხრიდან პოზიტიურად იყო აღქმული პედაგოგის ხელფასის გაზრდა და მივიღეთ დაპირება, რომ ამ საკითხში მხარს დაგვიჭერენ.

**— მაგრამ მანამდე მათ მხარი უკვე დაუჭირეს პროფესიულ სტანდარტებს.**

– ახლა მიმდინარეობს მუშაობა მასწავლებლის კარიერული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების სქემაზე და ამ სქემამ უნდა განსაზღვროს სტანდარტის პირობები, მასწავლებლის რომელ დონეზე რა ხელფასი განესაზღვრება, ასევე დადგინდება დონიდან დონეზე გადასვლის ვადები, პედაგოგთა კრედიტების შეფასების სისტემა, მონიტორინგის ინსტიტუტის დამკვიდრება ჩვენს ქვეყანაში. ასე რომ, ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტზე მიდის ამჟამად მუშაობა, მაშინ, როცა, ვიმეორებ, არ არსებობს განათლების სისტემის ერთიანი კონცეფცია, და თუ ეს სისტემა არ ჩამოყალიბდა და სახელმწიფოს მიდგომა მასწავლებლის მიმართ ისეთი არ იქნება, რომ უნდა დაფასდეს მისი შრომა, ნებისმიერ შემთხვევაში რეფორმა, როგორც აქამდე ხდებოდა, ჩიხში აღმოჩნდება.

**თამარ ოქრუაშვილი**
599 10-93-50



## ირაკლი ალასანია ბრიუსელში გაემგზავრა



საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ბრიუსელში გაემგზავრა. თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი ნატოს თავდაცვის მინისტერიალში მიიღებს მონაწილეობას. მინისტერიალის მთავარი თემები რუსეთ-უკრაინის კრიზისის ფონზე კოლექტიური თავდაცვის ზომების გადახედვა და უელსში დაგეგმილი სამიტისთვის მზადებაა.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრი ნატოს გენერალურ მდივანს, ანდერს ფოგ რასმუსენს შეხვდება. დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრები ბრიტანელ, უკრაინელ, დანიელ, ბელგიელ და თურქ კოლეგებთან. (ნიუპოსტი)

## ბრიტანეთი საქართველოს დროულად ასოცირებას მოითხოვს




დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი უილიამ ჰეიგი დაჟინებით მოითხოვს, რომ საქართველომ და მოლდოვამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი დროულად მოაწერონ:

„ევროკავშირში ჩვენ ვმუშაობთ ეკონომიკურ საკითხებზე როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ასევე სხვებთანაც. საქართველო და მოლდოვა მიიღებენ ყველა უპირატესობას ევროკავშირთან ასოცირებით, როგორც იღებენ ის ქვეყნები, რომლებმაც ამ ხელშეკრულებას ხელი უკვე მოაწერეს“, – აღნიშნა ჰეიგმა ლონდონში გლობალიზაციის საკითხზე გამართულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას. (ინტერპრესნიუსი)

## რუსეთმა ცხინვალს 9 მლრდ რუბლი გამოუყო




ე.წ. სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის რუსული ინვესტიცია 2015-17 წლებში 9 მილიარდი რუსული რუბლი იქნება, რაც დაახლოებით 256 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ცხინვალისთვის აღნიშნული თანხის გაცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება. 2012 წელს რუსულმა ინვესტიციამ დაახლოებით 3 მილიარდი რუბლი – 84 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2013-ში – 1,65 მილიარდი რუბლი (47 მლნ დოლარი), 2014 წელს – 3 მილიარდი რუბლი (85 მლნ დოლარი).

9 მილიარდი რუბლის პარალელურად, პირველად არის გათვალისწინებული ბიზნესის საბანკო კრედიტებიც. (ინტერპრესნიუსი)

## ბათუმში შტორმს ელოდებიან



აჭარის საგანგებო სიტუაციების მართვის ხელმძღვანელის, მამუკა თურმანიძის ინფორმაციით, ბათუმში შტორმია მოსალოდნელი. ამ ეტაპზე სპეციალისტებს შტორმის სიძლიერის პროგნოზირება უჭირთ.

სინოპტიკოსები, მთელი საქართველოს მასშტაბით ამინდის გაუარესებას ვარაუდობენ. მათი განცხადებით, ტემპერატურა დაეცემა და ძლიერად იწვიმებს. (რეპორტიორი)



## არჩილ ჭყოიძე ხელმოწერებს აგროვებს




კოალიცია „ევრაზიული არჩევანის“ თავმჯდომარე არჩილ ჭყოიძე „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის გაუქმების მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებს.

ჭყოიძის განცხადებით, მას 5000-მდე ხელმოწერა უკვე აქვს, თუმცა აღნიშნული მოთხოვნის პარლამენტში დასაყენებლად 30 000 სჭირდება.

„ეს კანონი რუსეთთან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დეოკუპაციისთვის მოლაპარაკებებს ხელს უშლის. გარდა ამისა, უცხო ქვეყნების მოქალაქეები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნამყოფები არიან, საქართველოში ვერ ჩამოდიან, რადგან მათი ჩამოსვლა კანონდარღვევაა“, – განაცხადა ჭყოიძემ.

ჭყოიძე რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენასაც მოითხოვს.

„ჩვენ რუსეთთან რეალური დიალოგი არ გვაქვს. აბაშიძე-კარასინის ფორმატი სუსტია. რუსეთთან ტერიტორიული დავები აქვს იაპონიასაც, რომელიც თვლის, რომ კურილიის კუნძულები რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, თუმცა მასთან დიპლომატიურ ურთიერთობებს არ წყვეტს, მეტიც, იაპონიის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ რუსეთთან მიმართებაში სიტყვა ოკუპანტი არ გამოიყენოს, რადგან მათ ესმით, რომ რუსეთს ძალისმიერი მეთოდებით ვერავინ ვერაფერს აიძულებს“, – აღნიშნა ჭყოიძემ. (ფრონტნიუსი)

## კანიონში ჩარჩენილი 16-ვე ადამიანი ამოიყვანეს



მარტვილში გოჭკადილის კანიონში ჩარჩენილი 16-ვე ახალგაზრდა სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა ამოიყვანეს. ექიმების თქმით, მათ სერიოზული დაზიანებები არ აღენიშნებათ.

მარტვილის რაიონის სოფელ გაჭედილში მდინარე აბაშა კანიონში მდინარის ადიდების გამო რამდენიმე ახალგაზრდა ჩარჩა. ახალგაზრდები კანიონში იყვნენ შესული, რა დროსაც მოულოდნელად მდინარე ადიდდა. (ნიუპოსტი)

## ქსენოფობიური გამონათქვამების გამო „ნაცმოძრაობის“ სიიდან ამოიღეს




ილია მალაზონია ქსენოფობიური განცხადებები გამო „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიიდან ამოიღეს და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის სტატუსი მოუხსნეს.

სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, რომელზეც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის მაჟორიტარობის კანდიდატი ილია მალაზონია ქსენოფობიურ განცხადებებს აკეთებს. კითხვაზე, „რას ითხოვთ?“, მალაზონია პასუხობს: „საქართველო – თურქების გარეშე. საქართველოში არ არის ირანელებისთვის განკუთვნილი ადგილი“.

ვიდეო ერთ-ერთ აქციაზეა გადაღებული, რომლის მონაწილეები თბილისში თურქული და ირანული ღამის კლუბების არსებობას აპროტესტებენ. (ფრონტნიუსი)

# გია გაჩეჩილაძე: „ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, ვადამდელი არჩევნების ჩატარება რეალურია“

**„ალიას“ ესაუბრება „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი, თბილისის მერობის კანდიდატი, გია გაჩეჩილაძე:**

– ყოველდღიურად მაქვს შეხვედრები თბილისის რაიონებში და მომიწევს სხვა რაიონებში გასვლაც, რადგან ხალხი ამას ითხოვს - ყვარელი, ხაშური, ბათუმი, ჭიათურა, კასპი... დამოკიდებულება სერიოზული „მწვანეთა პარტიის“ მიმართ მას შემდეგ გახდა, რაც „ენდიაიმ“ მეორე ადგილზე დაგვაფიქსირა. თუმცა, გულწრფელად უნდა გითხრათ, ამან მნიშვნელოვნად მაზარალა, ვიდრე მასარგებლა.

**— რას გულისხმობთ?**

– ყველა ტელევიზია დაიხურა ჩვენთვის.

**— თქვენ გჯერათ „ენდიაის“ კვლევების?**

– მიუხედავად იმისა, რომ ცალკე „ნაციონალები“ ამბობდნენ, ცალკე „ოცნება“ და სხვები, რომ „ენდიაის“ დასკვნას არ ენდობოდნენ, ფაქტია, თუ არ ენდობიან, ჩვენი ბლოკირება რატომ მოახდინეს? საკმაოდ სარწმუნო ყოფილა მათთვის ეს კვლევები. ევროკავშირში მივდივართ, ასოცირების ხელშეკრულებას ვაწერთ ხელს და რომელ დემოკრატიაზე ვსაუბრობთ ამ დროს? თუ ის გეგმა არსებობს, რომ მაინცდამაინც „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა შერჩეს ხალხს, ეს იქნება კატასტროფა. იმაზე „ჩალიჩი“, რომ კრიმინალური დაჯგუფება გყავდეს ოპოზიციად, საფრთხის შემცველია სახელმწიფოსთვის.

**— ბიძინა ივანიშვილი თქვენზე განაწყენებული ხომ არ არის, უმრავლესობა რომ დატოვეთ? ხომ არ შეხვედრიხართ?**

– ბიძინა ივანიშვილს არ შევხვედრივარ დიდი ხანია, მას შემდეგ, რაც პოლიტიკიდან წავიდა.

**— „ნაციონალები“ ამბობენ, ივანიშვილი არსად არ წასულა, ის მართავს პროცესებსო. თქვენ რა იცით ამის შესახებ?**

– არ მგონია, რომ ივანიშვილი ამ პროცესებში იყოს ჩარეული, ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, მთავრობის არაპროფესიონალიზმის გამო ხდება. ხელისუფლებას არ აქვს სახელმწიფო მართვის გამოცდილება და უნარი, ჯერ პიარს შეხედეთ. ნორმალური „პიარშიკები“ ვერ ნახეს ქვეყანაში, რომ ის მაინც დაანახონ ხალხს, რაც გააკეთეს. ასეთი უცნაური ხელისუფლება ჯერ არ მინახავს, რომელიც იმ ტოტს ჭრის გულმოდგინედ, რომელზეც ზის. ამდენი წლის პოლიტიკოსი ვარ, ჩემს თვალწინ გაიარა ყველაფერმა და ასეთი უცნაურობა არ მინახავს.

**— უმრავლესობიდან წამოსვლის წინ განაცხადეთ, იმიტომ მივდივარ, რომ ჩემს ინიციატივებს უყურადღებოდ ტოვებენო. როგორ ფიქრობთ, უმრავლესობას თქვენთვის რომ დაეჯერებინა, ახლა რას მივიღებდით?**

– როცა პირველი შეხვედრები იყო და შევედით პარლამენტში, მაშინ პირველი, რაც ვთქვი და მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის, იყო ის, რომ უნდა ჩამოყალიბებულიყო პროფესიონალური პოლიტიკური სპექტრი. პოლიტიკურ პარტიებზე დგას სახელმწიფო ხელისუფლება, საზოგადოებას შეიძლება არ ჰქონდეს ეს გაცნობიერებული, მაგრამ პარტიებს არჩევნების გზით ირჩევს მოსახლეობა, ეს პარტიები შედიან პარლამენტში, ირჩევენ მთავრობას და ასე ყალიბდება სახელმწიფო მართვის სისტემა. თუ პარტიული სისტემა დამპალია და ჭაობია, რა უნდა აშენდეს ჭაობზე? ახლა იყო შანსი სწორედ იმისა, რომ ჯანსაღი პოლიტიკური სპექტრი ჩამოყალიბებულიყო და თაღლითებისთვის არ ეკეთებინათ რეკლამა ტელევიზიით. ხალხი აღარ იღებს ამ გაცვეთილ ტექნოლოგიებს, ყელში აქვთ ამოსული და ამიტომაცაა, რომ ყველა შეხვედრაზე მიწევს ხალხისთვის მოწოდება, ხელი არ ჩაიქნიოთ, არჩევნებზე გამოდით, რახან ხელისუფლება ვერ წყვეტს ნორმალური პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების საკითხს, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ-მეთქი. ვარწმუნებ ხალხს, რომ არ წამოწვნენ სახლში, თორემ უარესად შემოგვიტრიალდება ეს ყველაფერი. წრეზე მივდივართ, ხომ ატყობთ ამას?

**— ახლა ისეთი კონფიგურაცია გვაქვს პარლამენტში, რომელიც გამზადებული სიის სახით მოგვაწოდეს და ხათრით ავირჩიეთ, თუმცა ეს პარლამენტი ხალხის ნების გამომხატველი არაა...**

– მე ვსვამდი საკითხს, ბიძინა ივანიშვილმა მოგვიყვანა ყველანი პარლამენტში, ახლა თვითმმართველობის არჩევნები რომ დაინიშნება, კეთილი ვინებოთ და ცალ-



გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## 41 მწვადი და 41 წიწილა ახმეტის გამგეობისგან — გენერალ თამაზ თამაზაშვილს და დეპუტატ ზურაბ ზვიადაურს



ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2014 წლის 4 აპრილს რესტორანში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრ თამაზ თამაზაშვილის, კახეთის გუბერნატორ ირაკლი შიოლაშვილისა და ახმეტის მაჟორიტარ დეპუტატ ზურაბ ზვიადაურის მასპინძლობისთვის 2350 ლარი დახარჯა. თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრი ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გამოთხოვილ ოფიციალურ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იუწყება. მისივე ცნობით, სარესტორნე მომსახურებისთვის თანხა ინდმეწარმე „ომარ ნონიაშვილს“ ჩაერიცხა.

ამასთანავე, გამგეობამ უარი თქვა, გაეცა ინფორმაცია იმის შესახებ, რა იყო სტუმრების ვიზიტის მიზანი, ასევე რა კერძები შედიოდა ვახშმის მენიუში და ვინ შედიოდა ჯგუფში.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროს არსენ ბუღრიძის მტკიცებით, საფინანსო სამსახურში არ აქვთ ინფორმაცია სტუმრების ვინაობის, ვიზიტის მიზნისა და მენიუს შესახებ.

„გამგებლის ბრძანებით დაგვევალა თანხის გადარიცხვა ინდმეწარმე „ომარ ნონიაშვილისთვის“ 2350 ლარის ოდენობით და გადავრიცხეთ. „ომარ ნონიაშვილისგან“ მხოლოდ ზედნადები გვაქვს მიღებული, სადაც მითითებულია, რომ თანხა სარესტორნე მომსახურებისთვის უნდა ჩაგვერიცხა“, – აღნიშნა ბუღრიძემ.

თავის მხრივ, ინდმეწარმე ომარ ნონიაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუმარტა, რომ 4 აპრილს გამგეობიდან შემდეგი შეკვეთა მიიღო: 41 შემწვარი წიწილა; 41 ღორის მწვადი, გოჭის ხორცი, ცხვრის ჩაქაფული, ხბოს ხორცის ჩაშუშული, ალაზნის ლოქო, სალათები, პური, ღვინო და ა.შ.

კითხვაზე, რატომ არ მიაწოდა გამგეობას მენიუ, ნონიაშვილმა აღნიშნა, რომ „მისთვის მენიუს მიწოდება და პროდუქტის გაშიფვრა არ მოუთხოვიათ“.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი, პოლიციის გენერალი თამაზ თამაზაშვილი 4 აპრილს ახმეტაში ქართულ ჭიდაობაში საქართველოს პირველობას ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტის სტატუსით დაესწრო და 1998-1999 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის გამართული შეჯიბრის მთავარი მსაჯი იყო. პრემიერის სიმამრს თან ახლდნენ კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი და შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი ბესიკ ამირანაშვილი, ასევე ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ზვიადაური.

ოფიციალური ინფორმაციით, 2013-2014 წლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან 74 298 ლარი დაიხარჯა სარესტორნე მომსახურებისთვის, საჩუქრების შესაძენად, სტუმრების პატივსაცემად. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## ცხინვალში 7-8 ივნისს ე.წ. საზღვრის გადაკვეთა აიკრძალება

ცხინვალში 7 და 8 ივნისს მოქალაქეებისთვის საქართველოსთან ადმინისტრაციული საზღვრის იმ მონაკვეთების გადაკვეთა აიკრძალება, სადაც მიმოსვლა გამარტივებულია. ამის მიზეზი ე.წ. სამხრეთ ოსეთის საპარლამენტო არჩევნებზე უსაფრთხოების ზომების გაძლიერების ღონისძიებებია. მოქალაქეთა ჩვეულ რეჟიმში გადაადგილება 9 ივნისიდან აღდგება. (რეპორტიორი)

## რუსეთისგან რამე არის კანონიერი?




საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ლეონიდ თიბილოვის სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების ინიციატივას გამოეხმაურა. ფანჯიკიძის განცხადებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უკანონოა: „ყველაფერი, რაც მოხდება იქ, იქნება ეს არჩევნები, თუ პარალელურად რაიმე სხვა გადაწყვეტილება, ყველაფერი იქნება უკანონო. აქედან გამომდინარე, თუ მიღებული იქნება მსგავსი გადაწყვეტილება, ეს ყველაფერი მოხვდება იმავე კატეგორიაში, რაშიც ხვდება ნებისმიერი მსგავსი აქტივობა ცხინვალის რეგიონში“, – განაცხადა ფანჯიკიძემ. (რეპორტიორი)

## დეპუტატებმა „ქართულ ოცნებას“ 30-30 ათასი ლარი გადაურიცხეს



კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დეპუტატებმა ზვიად ძიძიგურმა, ბიძინა გუჯაბიძემ, გიგა ბუკიამ, რევაზ შავლოხაშვილმა და პაატა კვიჟინაძემ 30-30 ათასი ლარი გადაურიცხეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, კოალიციის შემომწირველებს შორის არიან ვახტანგ ხმალაძე (200 ლარი), ლევან ბერძენიშვილი (100 ლარი) და მანანა კობახიძე (100 ლარი).

საერთო ჯამში, კოალიციამ მიმდინარე წლის მაისში შემოწირულობის სახით 1 280 141 ლარი მიიღო, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი – 271 149 ლარი. ბოლო შემთხვევაში შემომწირველებს შორის კახა ბენდუქიძე (5555 ლარი) და გიგი უგულავა (1200 ლარი) არიან. (ფრონტნიუსი)

*მეცხრე გვერდიდან*

ცალკე მივიღოთ არჩევნებში მონაწილეობა, რომ დავადასტუროთ, ღირსები ვართ ამ პარლამენტში ყოფნის-მეთქი. ეს არავის აწყობდა, მაგრამ პოლიტიკური გადაწყვეტილება რომ ყოფილიყო, სახელმწიფოსთვის იქნებოდა ძალიან კარგი. ვიღაცის ავტორიტეტზე ამოფარება არაა ნორმალური პოლიტიკა, არსად ხდება ასეთი რამ. თუ საზოგადოებამ შეცვალა ხელისუფლების სისტემა, ის პარტიები, რომელზეც ნერვები ეშლებათ და გული ერევათ, თუ უკან გადაიწია და წინ სხვებმა გადმოინაცვლეს, ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ვადამდელი არჩევნების ჩატარება რეალურია. საზოგადოება დაანახებს ყველას, რომ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც მეფობენ, აღარ არის მათი მოთხოვნის შესაბამისი.

**— ხალხი უკვე ძალიან არის გაღიზიანებული ხელისუფლებაზე, ისეთ მძიმე მდგომარეობაში არიან. რა იყო ხელისუფლების ყველაზე დიდი შეცდომა, რატომ მიიყვანეს მოსახლეობა ასეთ მდგომარეობამდე?**

– ყველაზე დიდი შეცდომა არის მათი სისუსტე და არაპროფესიონალიზმი. იმის მაგივრად, რომ სიაში პროფესიონალი ჩაეწერათ, სრულიად უცნობი ადამიანები ჩაწერეს. ბევრი შემთხვევითი ხალხი წერია სიაში. მე თუ შემიძლია პროფესიონალების გვერდზე დაყენება, ამათ რატომ არ შეუძლიათ? კარგი, თუ თანამდებობაზე არ დანიშნავ, მრჩევლებად მაინც აიყვანე ისინი. ყველაზე დიდი შეცდომა არის ასევე, საზოგადოების განწყობის არგათვალისწინება. ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ მიიღეს, რა აუცილებლობა იყო? გამოიწვია კატასტროფა, იცით, რომ მე და რამდენიმე კაცმა არ მივეცით ხმა.



**„არ მგონია, რომ ივანიშვილი ამ პროცესებში იყოს ჩარეული, ეს ყველაფერი, ჩემი აზრით, ხდება მთავრობის არაპროფესიონალიზმის გამო. ხელისუფლებას არ აქვს სახელმწიფო მართვის გამოცდილება და უნარი“**

**— სოციალური ფონი ისე დამძიმდა, ხალხი დეპრესიაშია, ადამიანები თვითმკვლელობამდე მიდიან. წელიწადნახევარი არ იყო საკმარისი, რომ სიტუაცია გამოესწორებინათ?**

– ბევრია შეწუხებული პარლამენტში, ყველაზე სერიოზული პრობლემა, რაც ამ ხელისუფლებას დაემართა, არის ის ფარული სურვილი, რომ ყველას უნდა, ჰყავდეს კომფორტული ოპოზიცია. ამის შედეგია ეს კოჰაბიტაციაც და ხალხის გაღიზიანება. ხელისუფლებას უნდა ისეთი ოპოზიცია, რომ, როცა უნდა პანღური ამოარტყას. ნორმალური, იდეოლოგიაზე დაფუძნებული ოპოზიცია საფრთხის შემცველად მიაჩნიათ, ამაშია პრობლემა. 300 000 ადამიანი წნეხის ქვეშ ჰყავდა სააკაშვილს, არადა 900 000 ოჯახია სულ საქართველოში, მესამედი გატეხა, საპროცესო გარიგებებით უსახლკაროდ დარჩა, ამ ხალხს კი ესენი აყურებინებენ სპექტაკლს და როგორ გინდა, რომ ეს ვიღაცები, რომლებიც ასე აწამებდნენ ხალხს, შეინარჩუნო, როგორც ოპოზიცია?

**— ამიტომაცაა, რომ ხალხს ხელისუფლების სამართლიანობის აღარ სწამს და მუშტებზე იყურება, პროცესებმა უკვე ქუჩაში გადაინაცვლა.**

– სამწუხაროა და ეს მეტ მასშტაბებს მიიღებს, ამას დაინახავთ. ადამიანები, რომლებიც სამართალს ვერ ხედავენ, ცდილობენ, თავად აღადგინონ სამართლიანობა. ამ პროკურატურაშიც არანაირი ცვლილება არ მომხდარა, იგივე ხალხია, ვინც ადრე ამწარებდა ხალხს. ერთი მოვიდა ჩემთან და მითხრა, საჩივარი შევიტანე და აღმოვაჩინე, რომ ის ადამიანი იძიებდა იმ საქმეს, ვინც მე გამასამართლა და საქმე „შემიკერაო“.

**— ივანიშვილი ამბობდა, პოლიტიკიდან რომ წავალ, სამოქალაქო სექტორიდან გავაკრიტიკებ და გავაძლიერებ ხელისუფლებასო. არ ჩანს ეს კრიტიკა. ხომ არ იცით, დაბრუნებას აპირებს?**

– ძალიან მინდა, რომ მობრუნდეს, რადგან ერთადერთი, ვისაც აქვს უნარი, რომ პროცესი შექმნას, არის ბიძინა ივანიშვილი. ვნახოთ, არჩევნები როგორ ჩატარდება ჯერ. კარგი იქნება, თუ არჩევნების შემდეგ დაბრუნდება. თუ ხალხი მოახერხებს, ამ პარტიებს ჩააჩოჩებს ამ არჩევნებზე, ეს ავტომატურად გადაგვიყვანს რიგგარეშე არჩევნებისთვის მზადებაზე.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ცესკო-მ კალაძის ინიციატივას მხარი დაუჭირა

თვითმმართველობის არჩევნებში წარდგენილი კანდიდატების მიერ არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევაში მთელი პარტიული სიის გაუქმება აღარ მოხდება. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აღნიშნულთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ ინიციატივა გაითვალისწინა. ცვლილებას ცესკოს 13-ვე წევრმა მხარი დაუჭირა. როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განმარტავენ, ერთჯერადად მხოლოდ თვითმმართველობის არჩევნებისთვის მსგავსი ცვლილების შეტანა ცესკო-ს დადგენილებითაა შესაძლებელი, სრული ცვლილებისთვის კი საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო.

ეს იდეა კალაძემ ოპოზიციის იმ პრეტენზიის საპასუხოდ გააჟღერა, რომელიც „ოცნების“ მხრიდან მათ საარჩევნო კანდიდატებზე ზეწოლასა და შედეგად მათ მიერ კანდიდატურების მოხსნას შეეხება, რის გამოც, საბოლოო ჯამში, პარტიებმა მთელ რიგ რეგიონებში შესაძლოა, არჩევნებში მონაწილეობა საერთოდ ვეღარ მიიღონ. (ფრონტნიუსი)

## რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთს რუსეთის სატელეფონო კოდები ოფიციალურად მიანიჭა



ე.წ. სამხრეთ ოსეთის კავშირგაბმულობის კომიტეტსა და რუსეთის მასობრივი კომუნიკაციებისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებს ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის ფიქსირებული და მობილური ტელეფონებისთვის რუსეთის კოდების მინიჭებას. ნომრები დაიწყება კოდით – 7, ფიქსირებული კავშირის კოდი იქნება 850, მობილური კავშირისთვის – 998.

სააგენტოს ცნობით, შეთანხმება ატარებს დროებით ხასიათს და მანამდე იმოქმედებს, ვიდრე ე.წ. სამხრეთ ოსეთი ელექტროკავშირის საერთაშორისო კავშირში არ გაწევრიანდება და საკუთარი საერთაშორისო კოდი არ მიენიჭება. შეთანხმება ხუთი წლის განმავლობაში იმოქმედებს, რის შემდეგაც ის ავტომატურად გაგრძელდება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## თბილისში ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოდის



4 ივნისს საქართველოს ორდღიანი ვიზიტით ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლუბომირ ზაორალეკი ეწვევა. საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერება საქართველოს მთავრობასა და ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურის, განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას.

ჩეხი მინისტრი შეხვედრებს გამართავს საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან და მთავრობის სხვა მაღალი დონის წარმომადგენლებთან.

ჩეხ მინისტრთან ერთად, თბილისს ეწვევა ჩეხეთის ბიზნესდელეგაციაც, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან გამართულ შეხვედრასა და მრგვალ მაგიდაში. ბიზნესდელეგაცია შეხვედრებს გამართავს ასევე ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოში, სადაც გაეცნობიან საქართველოს ბიზნესგარემოს. (ინტერპრესნიუსი)

## აჭარლები სახელმწიფოს უმოქმედობაში ადანაშაულებენ




ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კირნათის მოსახლეობა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს უმოქმედობაში ადანაშაულებს. საზღვრისპირა სოფელში აქციაზე შეკრებილებმა განაცხადეს, რომ საზღვარი თურქი მესაზღვრეების მხრიდან ინტენსიურად ირღვევა, საქართველოს ხელისუფლება კი ამ საკითხს ყურადღებას არ აქცევს.

როგორც ადგილობრივი შოთა წითელაძე აცხადებს, თურქი მესაზღვრეების გარდა, კირნათელებს ქართველი მესაზღვრეებიც ავიწროებენ. მისი თქმით, ქართველმა მესაზღვრეებმა ძველი ნიშნულები 150 მეტრამდე გადმოსწიეს, რის გამოც მისი ნაკვეთი თურქეთის ტერიტორიაზე მოექცა.

„გაბრაზებული ვარ იმიტომ, რომ ჩვენი ქართველი მესაზღვრეები ნიშნულებს სვამენ ჩვენს ტერიტორიაზე. ძველი ნიშნულები 100-150 მეტრის იქეთ იყო დაყენებული, ახალი ნიშნულების გამო მე აღარ მაქვს მიწის ტერიტორია, მთლიანად მოექცა თურქეთის საზღვარში. ვმუშაობდი ჩემს ნაკვეთში და ამ დროს მომიხდა კონფლიქტი ჩვენს მესაზღვრეებთან, ნუ სვამთ ნიშნულს-მეთქი. გარდა ამისა, თურქი მესაზღვრეებიც შემოვიდნენ ძაღლებითა და შეიარაღებით. ჩვენი გლეხი კაცი დააკავეს და წაიყვანეს. მე არ ვაპირებ მიწის დათმობას. ეს ტერიტორიაც გაყიდეს და იმიტომ გვართმევენ მიწებს“, – აღნიშნა წითელაძემ.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთეს საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში. „სხვადასხვა მედიასაშუალებების მიერ ბოლო პერიოდში გავრცელებული ინფორმაცია, რომ აჭარაში, სასაზღვრო პოლიციის №1 სამმართველოს (ბათუმი) ტერიტორიაზე, №2 სასაზღვრო სექტორის (კირნათი) დასაცავ მონაკვეთზე, თურქი მესაზღვრეების მიერ საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთა მოხდა, სიმართლეს არ შეესაბამება. სასაზღვრო პოლიცია მოგიწოდებთ, ნუ გაავრცელებთ გადაუმოწმებელ ინფორმაციას“, – ნათქვამია სასაზღვრო პოლიციის განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## დავით უსუფაშვილი პოლონეთს ეწვევა



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი პოლონეთს ეწვევა. პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, საკანონმდებლო ორგანოს სპიკერი ქვეყნის დამოუკიდებლობის 25 წლისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას.

ღონისძიებები ვარშავაში გაიმართება და მასზე დასასწრებად პოლონეთს ეწვევიან აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ევროპის წამყვანი ქვეყნების პრეზიდენტები, უკრაინის ახლად არჩეული პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო და სხვა მაღალი რანგის სტუმრები.

დაგეგმილია დავით უსუფაშვილის პოლონეთის პარლამენტში საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლა. (ინტერპრესნიუსი)

# რას მოიგებს მოსახლეობა ღარიბაშვილის მიერ გერმანიაში დადებული კონტრაქტებით?

„თქვენთვის საქართველოში ინვესტირება ისევე უსაფრთხო იქნება, როგორც ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში. განსხვავება კი მხოლოდ დაბალ ტარიფებსა და გადასახადებშია“. – ამ სიტყვებით მიმართა ირაკლი ღარიბაშვილმა ქართულ-გერმანული ბიზნესფორუმის მონაწილეებს ბერლინში გამართულ შეხვედრაზე.

პრემიერ-მინისტრის აპარატს არ დაუსახელებია იმ კომპანიების სახელწოდება, რომელთა წარმომადგენლებიც ფორუმს ესწრებოდნენ, შესაბამისად, ამ დრომდე გაურკვეველია, რა სფეროში უნდა ველოდოთ ინვესტიციებს.

დასთანხმდებიან თუ არა გერმანელი ბიზნესმენები პრემიერის შეთავაზებას და რა სარგებელს მიიღებს საქართველო მათი შემოსვლით?

„ალიას“ ესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე**:



– როდესაც ჯერ კიდევ შენს ქვეყანაში არსებული ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსები არ არის ჩაბმული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, არ გაქვს პოლიტიკა, რომელიც სტიმულს იძლევა, რომ არსებული მცირე ფინანსური რესურსი გამოიყენო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის, აზრი არ აქვს დიდი ინვესტიციების შემოდინებას. დაახლოებით 7 მილიარდამდე ლარი არის ქვეყანაში უმოძრაოდ და ამ დროს საზღვარგარეთულ ინვესტიციებზე ვაკეთებთ აქცენტს, რაც პრინციპულად არასწორია. საზღვარგარეთულმა ინვესტიციებმა უნდა შეავსოს უკმარისი შიდა ინვესტიციები, რომელიც განვითარების კვალობაზე საკმარისი გვაქვს. შენ ჯერ შენი არ აგითვისებია და დილეტანტური განცხადებები, რომ უცხოური ინვესტიციები აუცილებელია, თავისთავად ცხადია, კარგს არაფერს იძლევა. რაკი პოლიტიკა არ არის, რაკი რეალური ხედვა განვითარებისა არ არსებობს, არ გვაქვს შედეგი. ამიტომაც არის გაუთავებელი საუბრები რაღაც ინვესტიციებზე. რაღაც ინვესტიციები ნამდვილად შემოდის, ძალიან მცირე, თუმცა მოქალაქეები ამას ვერ გრძნობენ.

**— მედიაში ინფორმაცია მხოლოდ იმის შესახებ გავრცელდა, რომ პრემიერ-მინისტრმა სიტყვით მიმართა გერმანელ ბიზნესმენებს და ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს დაჰპირდა. როგორ ფიქრობთ, მიიღებენ გერმანელები პრემიერის მიწვევას?**

– მე ვფიქრობ, ბევრი არავინ ჩამოვა, რადგან ტენდენციაა, რომ წელს განვითარებად ქვეყნებში შედარებით ნაკლები ინვესტიციები მიდის სიტუაციის არამდგრადობის გამო. მე ვგულისხმობ განვითარებადი ქვენების განსაკუთრებულად გამოკვეთილ წევრებს, როგორიც არის არგენტინა, თურქეთი, რუსეთი და ა.შ. ამიტომ, განსაკუთრებული მოლოდინი, რომ საერთო ტენდენციის პირობებში საქართველოს პირობებში ვინმე გამოიჩენს განსაკუთრებულ ინტერესსა და ინვესტიციას შემოიტანს, მიამიტურია. თუ იმასაც შევხედავთ, რომ ჩვენი საკანონმდებლო მხარე, საკუთრების უფლების დაცვა, სამართლებრივი ინფრასტრუქტურა, ინსტიტუტები არ შეესაბამება თანამედროვე მაღალი მოთხოვნის მქონე ფინანსური ჯგუფების კრიტერიუმებს, მაშინ კიდევ უფრო სკეპტიკურად ვუყურებ ამას. ნებისმიერი ინვესტორი საკუთარი ანალიტიკური ჯგუფების მეშვეობით რეალურ ინფორმაციას ფლობს ნებისმიერ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე და მათ ვერ მოვატყუებთ პიარგანცხადებებით. ამიტომ, თუ ჩვენ ღია საზოგადოება არ შევქმენით, სტაბილური სამართლებრივი უზრუნველყოფით, სტაბილური სახელმწიფო პოლიტიკით, პროგნოზირებადი მთავრობით და ა.შ მემორანდუმი გაფორმდება ბევრი, მაგრამ შედეგი არ იქნება.

ჯერ ერთი, გერმანიას აქვს პრობლემები, მთლიანად ევროკავშირს აქვს სერიოზული ეკონომიკური პრობლემები. ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში უმუშევრობა 30%-საც კი აღწევს. ასეთ პირობებში ევროპელები საქართველოში არ გამოიქცევიან. აქედანვე შემიძლია, გითხრათ, რომ დაიდება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაც, გავა ერთი ან ორი წელი და ჩვენი შედეგი იქნება ნულოვანი, რადგან საშინაო პოლიტიკა სახელმწიფოში არ შეესაბამება იმას, რომ ასოცირების ხელშეკრულების დადებითი მხარეები ეფექტურად იქნას გამოყენებული.

**— დავუშვათ, გერმანელები ჩამოვიდნენ და ინვესტიციების ჩადება გადაწყვიტეს, ამით რა სარგებელს ნახავს სახელმწიფო?**

– სახელმწიფოს გაუჩნდება დამატებითი ფინანსური რესურსი, რომელიც შეუძლია, შეაბრუნოს ისევ მცირე და საშუალო ბიზნესში, ან განახორციელოს სახელმწიფო ეკონომიკური პროგრამები. წამყვან ქვეყნებში ინვესტიციიდან შემოსულ თანხას ისევ ეკონომიკაში აბანდებს სახელმწიფო და ამ დროს ხდება რა? მუშაობს ინვესტორი შენს ტერიტორიაზე და მისი მუშაობით ასაქმებ საკუთარ მოსახლეობას. მაგრამ ჩვენთან ეს ფული ბიუჯეტში მიდის, იქიდან კი სად ქრება, კაცმა არ იცის. ფაქტია, ისევ ეკონომიკური პროექტების განხორციელებას არ ხმარდება.

**— ეკონომიკაში თუ დააბანდა, ამას იგრძნობს მოსახლეობა საკუთარ თავზე? აქამდე ნამდვილად არავის უგრძვნია.**

– გააჩნია, ინვესტიციებს ვინ განახორციელებს და რა სფეროში. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესში ჩადებული ინვესტიციები, ცხადია, არის ძალიან საჭირო, რომელიც გავლენას მოახდენს რიგით მოქალაქეზეც, მაგრამ ისეთ სექტორებში ჩადებული ინვესტიციები, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, ენერგეტი-

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ლევან კორტავას ახლობლებს მაჟორიტარობის კანდიდატთან პრეტენზია აქვთ



ერთი წლის წინათ გარდაცვლილი პატიმრის ლევან კორტავას ოჯახი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე „საქართველოს ძალოვან-ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის, თამაზ ნაჭყებიას მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამს და მისი კანდიდატურის მოხსნას მოითხოვს. ოჯახის წევრების განცხადებით, თუ მათი მოთხოვნა დროულად არ დაკმაყოფილდა, ისინი საპროტესტო აქციების მოწყობას გეგმავენ.

„ნაჭყებია არის ის ადამიანი, ვინც ჩემი ლევანი უკანონოდ დააკავა, ჩემს ძმისშვილს სიკვდილი მიუსაჯა, არ დავთმობ და ბოლომდე ვიბრძოლებ, რა უფლება აქვს მკვლელს, რომ არჩევნებში კენჭი იყაროს?“ – აცხადებს ლევან კორტავას მამიდა ხათუნა კორტავა.

თამაზ ნაჭყებია ლევან კორტავას ახლობლების ბრალდებებს უარყოფს და მას უსაფუძვლოს უწოდებს. (ინტერპრესნიუსი)

## ფანჯიკიძე „ალ-ჯაზირას“ რეპორტაჟს გამოეხმაურა



საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე „ალ-ჯაზირას“ სიუჟეტს გამოეხმაურა, სადაც აზიელი ფერმერებისთვის ვიზის გაგრძელების მხრივ არსებულ პრობლემებზეა საუბარი.

„საერთოდ, ყოველი ასეთი შემთხვევა უნდა იყოს განხილული ცალ-ცალკე. ჩვენ გვაქვს ჩვენი მოთხოვნები, რომ გავცეთ, გავაგრძელოთ ვიზა და ქვეყანაში ცხოვრების უფლება მივცეთ, რომელიმე ქვეყნის მოქალაქეს. მოგეხსენებათ, ჩვენ მიგრაციის პოლიტიკას გადავხედეთ, შემუშავებულია ახალი წესები. გარდა ამისა, ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა გვავალდებულებს სხვადასხვა კრიტერიუმების შემოღებას“, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისივე თქმით, თუკი ვინმე ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც საქართველოს აქვს ვიზის გაცემასთან დაკავშირებით, ვიზა შეიძლება არ გაიცეს.

„მაგრამ, თუ არ იქნება განხილული კონკრეტული ფაქტები, ის ამ თემაზე კონკრეტულ პასუხს ვერ გასცემს“, – აღნიშნა ფანჯიკიძემ.

ტელეკომპანია „ალ-ჯაზირა“ ავრცელებს რობინ ფორესტერ-უოკერის რეპორტაჟს საქართველოდან. რეპორტაჟის სახელწოდებაა „საქართველო მიგრანტებს ვიზის გაგრძელებაზე უარს ეუბნება“.

რეპორტაჟის ავტორი აღნიშნავს, რომ ერთ დროს საქართველოში მიესალმებოდნენ უცხოელი ბიზნესმენების მიერ სასოფლო მიწების შესყიდვას, თუმცა საქართველოში მყოფი ბევრი აზიელი ახლა იძულებულია, ქვეყანა დატოვოს, რადგან ვიზის გაგრძელებაზე უარს ეუბნებიან. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „საქართველოში ნატო-ს ჯარების განთავსება არავის წინააღმდეგ არ იქნება მიმართული“




საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადებას გამოეხმაურა, რომლითაც მან კონგრესს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების თავდაცვითი საშუალებების გაძლიერებისთვის 1 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფის თხოვნით მიმართა.

„ძალიან კარგი და სასიამოვნო იქნება, თუ ამ თანხის რაღაც ნაწილი საქართველოს მოხმარდება და თუ ჩვენი მისწრაფება ევროატლანტიკურ ალიანსში ამ ფორმითაც იქნება დაფასებული, ჩვენი უსაფრთხოებისთვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანია. აშშ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ჩვენ მასთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს უსაფრთხოებასაც მოხმარდება ეს თანხა, თუ, რა თქმა უნდა, აშშ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს. ეს ჯერ მხოლოდ პრეზიდენტ ობამას ინიციატივაა, რაზეც გადაწყვეტილება ჯერ არ არის კონგრესის მიერ მიღებული. როგორც ობამას განცხადებიდან იკითხება, როგორც ჩანს, ამ თანხის ნაწილი მისი გამოყოფის შემთხვევაში საქართველოსაც მოხმარდება“, – განაცხადა იმერლიშვილმა.

რაც შეეხება ნატო-ს სამხედრო ჯარების აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის საქართველოში შესაძლო განთავსებასთან დაკავშირებით გამოთქმულ ვარაუდებს, იმერლიშვილის თქმით:

„იქ გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსით და შესაბამისად, მათი გადასაწყვეტია. ცხადია, აშშ ლიდერობს, მაგრამ მხოლოდ აშშ-ის გადაწყვეტილებით არ ხდება ეს. როდესაც იყო აპატურაი ჩამოსული, კონკრეტულად ეს თემა არ იდგა დღის წესრიგში, მაგრამ, როდესაც თავდაცვის მინისტრმა გააკეთა განცხადება ნატო-ს საჰაერო თავდაცვითი სისტემების საქართველოში განთავსებასთან დაკავშირებით, მაშინ მისი პასუხი იყო ასეთი, რომ ეს ნატო-ს წევრი ქვეყნების გადასაწყვეტია და ალიანსი აუცილებლად იმსჯელებს ამის შესახებ... ასევე, გვახსოვს ალიანსის განცხადებები, როდესაც საუბარი იყო იმაზე, რომ არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული ალიანსი და ეს მხოლოდ მისი მოკავშირეების, წევრი ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის, უსაფრთხოების გაძლიერებისთვის და არამც და არამც არა ვინმეს წინააღმდეგაა მიმართული“, – აღნიშნა იმერლიშვილმა. (ფრონტნიუსი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

კა და ა.შ რა თქმა უნდა, ვერ შექმნის იმ გარემოს, სადაც წარმოიქმნება სწორედ სამუშაო ადგილები და სადაც მოქალაქეები იღებენ შემოსავალს. სწორედ ასეთ სფეროებზე აკეთებდა აქცენტს წინა ხელისუფლება და ამიტომ არის, რომ რიგით მოქალაქეს არ უგრძვნია საკუთარ თავზე ინვესტიციიდან მიღებული სარგებელი.

თუკი სოფლის მეურნეობაში განხორციელდება ინვესტიცია, ეს რეალურად გამოიწვევს ხალხის დასაქმებას. ამ დრომდე კი მხოლოდ ასე ხდებოდა, იყო შიდა პროდუქტის ზრდა, მაგრამ ეს რეალურად არ აისახებოდა მოქალაქეების შემოსავლების ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე. როდესაც უშუალოდ კერძო სექტორი არ იწვევს ამ ინვესტიციებს თავისი დასავლელი თუ აღმოსავლელი პარტნიორების სახით, სადაც სახელმწიფო არის ძირითადი ინვესტორების მომწვევი და შესაბამისად, სახელმწიფო პროგრამებში, გნებავთ ინფრასტრუქტურულ პროექტებში ხდება ინვესტიციების განხორციელება, ეს მხოლოდ ბიუჯეტს წაადგება და არა რიგით მოქალაქეს.

**— რა უნდა გაკეთდეს, რომ რა ინვესტიციებიც შემოდის, მოსახლეობაზე დადებითად აისახოს? როგორც წესი, ინვესტორი ქვეყანაში რომ შემოდის, ამბობს, რომ კონტრაქტის პირობებით, ძირითადად ადგილობრივებს დაასაქმებს, მაგრამ სინამდვილეში თავისი ქვეყნიდან ჩამოჰყავთ ხოლმე თანამშრომლები. არ შეუძლია სახელმწიფოს, რომ ეს პრობლემა მოაგვაროს და ადგილობრივები დასაქმდნენ?**

– ინვესტორები შესანიშნავად გრძნობდნენ წინა ხელისუფლების სისუსტეებს და ნაკლებად ენდობოდნენ მათ, რადგან ეკონომიკაში დომინირებდა არა კერძო სექტორი, არა თავისუფალი ბიზნესი, არამედ ხელისუფლება. როგორც წესი, როგორი კარგიც არ უნდა იყოს კერძო ინვესტორი, ნაკლებად ენდობა ხელისუფლებებს. მას სჭირდება ხელისუფლება იმისთვის, რომ სტაბილურ და გრძელვადიან პერსპექტივაში პროგნოზირებადი გარემო იყოს და კერძო სუბიექტთან იმუშაოს. დღევანდელ სიტუაციაშიც დომინირებს ხელისუფლება და არა კერძო სექტორი, თუკი პრემიერმა არ მოიწვია ინვესტორი, ისე არ შემოდის არავინ, ეს კი მოასწავებს იმ ფაქტს, რომ უახლოეს მომავალში ეს სფერო სრულად განწირულია. სანამ ინვესტორს დასჭირდება პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის შუამდგომლობა, რომ ქვეყანაში შემოვიდეს, იქნება მხოლოდ მემორანდუმები, განცხადებები, პროგნოზები და ნულოვანი შედეგი.

**— ადგილობრივების დასაქმება?**

– ეს არ მოხდება, იმიტომ, რომ ამას ხელს უწყობდა წინა ხელისუფლება, ხოლო ახალმა ხელისუფლებამ ეს ჯერ კიდევ ვერ გაასწორა. ეს გახლავთ საკუთარი მოქალაქის ინტერესების სრული იგნორირება და ინვესტორის გაფეტიშება, რაც არასწორია. დანარჩენი უკვე არის წმინდა ტექნიკური ხასიათის პრობლემები. თუკი შენ ქმნი გარემოს, ნებისმიერი ინვესტორი ხვდება, რომელი სპეციალისტი შემოიყვანოს და რომელი დაასაქმოს ადგილზე. როდესაც ინვესტორი ტენდენციურია და ლობირების გზით შემოდის ქვეყანაში, ბუნებრივია, აკეთებს იმას, რასაც თვითონ თვლის საჭიროდ და საერთოდ არ ანაღვლებს საქართველოს უმუშევარი, გნებავთ სპეციალისტების დასაქმება. მას მოჰყავს თავისი კადრები და ურჩევნია, საკუთარ კადრებთან იმუშაოს. თუკი არავინ ავალდებულებს, გიჟია, დაასაქმოს უცხო ქვეყნის მოქალაქე?

**— არ არის შესაძლებელი ისეთი ინვესტორის მოძებნა, რომელიც ისეთ სფეროში ჩადებს ფულს, რაც მის ბიზნესსაც წაადგება და ადგილობრივ იაფ მუშახელსაც დაასაქმებს?**

– როცა შენივე ქვეყნის ხელისუფლებას უკანასკნელი ოცი წელია, არაფერი გაუკეთებია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის, შეუძლებელია ინვესტორმა განავითაროს მცირე და საშუალო ბიზნესი. ევროპულ ორიენტაციაზე თავს რომ დებდნენ ხელისუფლებები, იმათი მაგალითი მაინც აეღოთ, ან ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, შეერთებული შტატების, რა დონის მხარდაჭერაა ბიზნესის დაწყებისთვის, როგორ არის დაცული მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორი სახელმწიფო პროგრამები ხორციელდება. მაპატიეთ და ხელისუფლებას ფეხებზე კიდია მცირე და საშუალო ბიზნესი და ჩინელი ან ევროპელი ინვესტორი იფიქრებს საშუალო ბიზნესის განვითარებაზე შენს ნაცვლად? ასეთი რამ არ შედის მის ამოცანებში. რაკი მცირე და საშუალო ბიზნესი არ არის განვითარებული და მას არ შეუძლია თავისი პარტნიორები მოძებნოს დასავლეთში თუ აღმოსავლეთში, იმიტომ არის ასეთი ცუდი მდგომარეობა.



**„თქვენთვის საქართველოში ინვესტირება ისევე უსაფრთხო იქნება, როგორც ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში. განსხვავება კი მხოლოდ დაბალ ტარიფებსა და გადასახადებშია“**

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაცმოძრაობა“ რკინიგზის „დამსამარებლებს“ ასახელებს

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 2014 წლის აპრილის მდგომარეობით „საქართველოს რკინიგზაში“ შექმნილ ვითარებაზე განცხადებას ავრცელებს:

„2014 წლის გადაზიდვების გეგმად განისაზღვრა 20 მილიონი ტონა ტვირთი, რაც წარმოადგენს 2011 წლის მაჩვენებელს; ჩვენს ხელს არსებული აპრილის მონაცემებით, მოსალოდნელი შესრულება არის 15 მილიონი ტონა. ეს არის 2004 წლის მაჩვენებელი. ანუ კომპანიამ წელიწად-ნახევარში განიცადა 10-წლიანი რეგრესი. ეს არის შედეგი იმისა, რომ სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ კომპანიას მართავს სრულიად არაკომპეტენტური ხალხი. ეს არის შედეგი იმისა, რომ საქართველოს რკინიგზის მენეჯმენტში უხეშად ერეოდნენ და ერევიან არაუფლებამოსილი პირები „ექსპერტ“ გია ხუხაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის „საყვარელი დეიდაშვილის“, უჩა მამაცაშვილის სახით. ეს არის შედეგი იმისა, რომ მოხდა გადამზიდავის მონოპოლიზაცია და ისეთი სატარიფო პოლიტიკის შემოღება, რომელიც იძლევა კორუფციული გარიგებების დადების შესაძლებლობას. ასეთ ვითარებაში, ცხადია, საუბარი ზედმეტია როგორც თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობაზე, რომლის დასაფინანსებელი სახსრებიც რკინიგზას აღარ აქვს, ისე შეკვეთებზე ელმავალმშენებელი და ვაგონმშენებელი ქარხნებისთვის, რომელთა თანამშრომლების უდიდესი ნაწილი უკვე თვეებია უხელფასო შვებულებაშია გაშვებული. საქართველოს რკინიგზაში არსებული პრობლემების გამო: მილიონობით ტონა დაკარგული ტვირთი აზიიდან ევროპაში ხვდება საქართველოს გვერდის ავლით, ანუ რუსეთის გავლით და ეს არის დაკარგული კონკრეტული შემოსავლები საქართველოსთვის. ეს ნიშნავს, რომ ხდება საქართველოს სტრატეგიული ფუნქციის – აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი დერეფნის – სრული ეროზია, რაც ძალიან შემაშფოთებელი ტენდენციაა.

2014 წლის იანვარში „ნაციონალურმა მოძრაობა“ გააკეთა განცხადება საქართველოს რკინიგზაში შექმნილ ურთულეს მდგომარეობასთან დაკავშირებით. ჩვენ ვთქვით, რომ საქართველოს რკინიგზის არაკომპეტენტური მენეჯმენტისა და ბ-ნი ივანიშვილის ნათესავის რკინიგზის საქმიანობაში ჩარევის შედეგად, საქართველოს რკინიგზამ 2013 წელს დაკარგა 3 მილიონი ტონა ტვირთი. შემცირდა ნავთობპროდუქტების, მარცვლეულის, შაქრის, რკინისა და მარგანეცის მადნის, ფერადი ლითონების, ქიმიური და მინერალური სასუქების, კონტეინერების, რეფრიჟერატორული ვაგონებით გადაზიდული ტვირთების მოცულობა. გაუარესება აღინიშნებოდა ყველა ძირითადი ტვირთის გადაზიდვის დინამიკაში. საპასუხოდ, საქართველოს რკინიგზამ გააკეთა სრულიად არასერიოზული განცხადება და ტვირთების მოცულობის კლების მიზეზებად მოიყვანა არაადეკვატური და ცინიკური არგუმენტები“, – აცხადებენ „ნაციონალურ მოძრაობაში“. (ნიუპოსტი)

## საქართველოში ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების რიცხვი იზრდება?!



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, ბოლო წლებში ფსიქიკური დაავადების მქონე ადამიანების რიცხვმა მსოფლიოშიც და საქართველოშიც მკვეთრად იმატა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ინფორმაციით, ყოველ მე-4 ადამიანს ცხოვრების განმავლობაში ერთხელ მაინც აღინიშნება ფსიქიკური აშლილობა. საქართველოში დღეისთვის 90 000-მდე ადამიანი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირია აღრიცხული, მაგრამ ეს ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არის. კოალიცია „ადამიანის უფლებები ჯანდაცვის სფეროში“ აღმასრულებელი დირექტორი, ექიმი-ფსიქიატრი ნანა ზავრადაშვილი აცხადებს: „სამწუხაროდ, სახელმწიფო პროგრამები ძირითადად ორიენტირებულია ბიოლოგიურ ფაქტორებზე. სახელმწიფოს არ აქვს სახსრები, ან არ მიიჩნევს პრიორიტეტულად, რომ მეტი თანხა გამოყოს პრევენციაზე ფსიქოლოგიურ პროგრამებზე. ეს სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს, თუმცა თბილისის მერიამ ვერ გამოყო თანხა. ნდობის ტელეფონზე დღეში დაახლოებით 20-დან 40-მდე ადამიანი რეკავს და ეს არ არის პატარა რიცხვი, ახლა კი ველარ დარეკავენ“. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სოზარ სუბარმა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება გახსნა



სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა, სოზარ სუბარმა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება გახსნა.

დაწესებულების ძირითად მიზანს მსჯავრდადებულის საზოგადოებაში რეინტეგრაცია, რეაბილიტაცია და გათავისუფლებისთვის მომზადება წარმოადგენს, შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსდებიან პირები, ვისაც სასამართლომ თავისუფლების შეზღუდვა შეუფარდა და ასევე მსჯავრდადებულები, ვისაც ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა შეეცვალა თავისუფლების შეზღუდვით. აქ განთავსებული მსჯავრდადებულები არ არიან საშიში საზოგადოებისთვის, მაგრამ საჭიროებენ ინტენსიურ ზედამხედველობას.

დაწესებულების ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 75-100 მსჯავრდადებულზე გათვალისწინებული საცხოვრებელი კომპლექსი, სარეაბილიტაციო ცენტრი, მრავალპროფილიანი საწარმოო შენობა, სპორტული მოედნები, ღია ეზო (სასეირნო ბილიკები, პაემნების ადგილი), შეხვედრების ოთახი, სასადილო, საკონფერენციო დარბაზი, მაღაზია, კომპიუტერული კლასი, მოსასვენებელი ოთახი და ბიბლიოთეკა.

დაწესებულებაში განთავსებულ პირებს, დღის განრიგის მიხედვით, არ ექნებათ შეზღუდული ერთმანეთთან ურთიერთობისა და ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება; ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, მათ შაბათ-კვირას შეეძლებათ დატოვონ დაწესებულების ტერიტორია და წავიდნენ ოჯახებში. თავისუფლებაშეზღუდულებს ასევე შესაძლებლობა ექნებათ, დასაქმდნენ და შესაბამისი ანაზღაურება მიიღონ ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა პროფილის საწარმოში; ისინი მრავალპროფილიან სასწავლებელში შეისწავლიან სხვადასხვა პროფესიას, ისარგებლებენ პაემნის უფლებით, ისარგებლებენ დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით.

დაწესებულებაში ჩატარდება ინტენსიური სამუშაოები პატიმრობაზე დამოკიდებულების მოხსნის მიზნით; ნარკოტიკსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულების დაძლევა; მსჯავრდადებულთა ინტენსიური რეაბილიტაცია; მსჯავრდადებულთა პროფესიული გადამზადება; დასაქმების მოტივაციის ამაღლება და სამომავლო ცხოვრების დაგეგმვის, უნარ-ჩვევების ამაღლება. (ინტერპრესნიუსი)

## ბათუმში გოგონამ ვენები გადაიჭრა



ბათუმში, ბულვარის სანაპიროზე 22 წლის გოგონამ თვითმკვლელობა სცადა. არსებული ინფორმაციით, გოგონამ ვენები გადაიჭრა და ზღვაში შესვლა სცადა. თუმცა ბულვარის სანაპიროზე სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა მას პირველადი დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# ცნობილი ქართველები, რომლებსაც მათზე ბევრად უმცროსი მეუღლეები ჰყავთ

## ნინო ქორიძე და თორნიკე გოგრიჭიანი

სამეფო კარის კანცლერის, კახა



ქორიძის ქალიშვილი, ნინო ქორიძე თბილისში მუდამ პოპულარობით სარგებლობდა. ნინო ქორიძემ რამდენიმე წლის წინათ მსახიობ თორნიკე გოგორიჭიანზე იქორწინა. თორნიკე 24 წლის იყო, ნინო – 37-ის. ცოტა ხნის წინ ქალიშვილიც შეეძინათ. მათ შესახებ არაერთხელ გავრცელდა ჭორი, თითქოს დაშორდნენ, მაგრამ წყვილი ბედნიერად ცხოვრობს.

ნინოსთვის თორნიკე მესამე ქმარია. კანცლერის ქალიშვილი პირველად 16 წლის ასაკში დავით კვირიკაძეზე (მეტსახელად ბათურა) გათხოვდა. მასთან ჰყავს შვილი ირაკლი კვირიკაძე, რომელიც ინგლისში სწავლობს. თუმცა, ნაადრევად შექმნილი ოჯახი მალე დაინგრა. 21 წლის ასაკში კი კოტე გოგელიას გაჰყვა ცოლად, რომელიც ახლა მაკა ასათიანის ქმარია. კოტემ და ნინომ ერთმანეთი ირინა თევზაძის ჩვენებაზე გაიცნეს, რომლის სპონსორიც კოტე გოგელია იყო, ნინო კი პოდიუმზე გამოდიოდა და მალე ოჯახი შექმნეს, რომელიც მცირე დროში დაინგრა. რაც შეეხება მესამე ქორწინებას, თორნიკესა და ნინოს ტრადიციული ქართული ქორწილი ჰქონდათ, ჯვარი მამა დავითზე დაიწერეს.

## ვასო ფხაკაძე და ლიკა მეტრეველი

ვასო ფხაკაძემ სულ ცოტა ხნის წინ 16 წლით უმცროს ლიკა მეტრეველზე იქორწინა. 21 წლის ლიკა მეტრეველი იურიდიული ფაკულტეტის



სტუდენტია და პარალელურად სამოდელო საქმიანობით არის დაკავებული. ვასომ და ლიკამ ერთმანეთი 2012 წელს „მის საქართველოზე" გაიცნეს. მაშინ ლიკა პირველი „ვიცე-მის საქართველოს" ტიტულის მფლობელი გახდა. წყვილმა თაფლობის თვე ანტალიაში გაატარა.

## გია ბაღაშვილი და თამუნა ტაბატაძე



გია ბაღაშვილმა რამდენიმე წლის წინ იპოვა საკუთარი რჩეული და 18 წლის მოცეკვავეზე, თამუნა ტაბატაძეზე იქორწინა. გიასა და თამუნას შორის საკმაოდ დიდი, 19-



წლიანი ასაკობრივი სხვაობაა, მაგრამ ამას მათი სიყვარულისთვის ხელი არ შეუშლია. თამუნამ და გიამ ერთმანეთი ირინა ონაშვილის დახმარებით გაიცნეს. შემდეგ კი ჯვარზე მამა დავითმა ჯვარი დასწერათ და საქორწინო მოგზაურობაში წავიდნენ.

## დავით საგანელიძე და სოფო ფარცხალაძე

უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ ოჯახი 50 წლის ასაკში შექმნა და 30 წლით უმცროს სოფო ფარცხალაძეზე იქორწინა. „სიყვარულს ასაკი არ აქვს. ვისი განკითხვის ობიექტიც ვარ, მობრძანდეს ჩემთან ოჯახში", – განაცხადა დავით საგანელიძემ ერთ-ერთ ინტერვიუში. სოფო აფთიაქში მუშაობდა, სადაც საგანელიძე წამლის საყიდლად მივიდა. პოლიტიკოსს ახალგაზრდა გოგონა მოეწონა, აფთიაქის მისამართი დაიმახსოვრა, 09-ში ტელეფონის ნომერი გაიგო და ასე დაიწყო მათი ურთიერთობა. შემდეგ დაქორწინდნენ და პირველი შვილიც გაუჩნდათ. როგორც სოფო იხსენებს, დავით საგანელიძე ეჭვიანი ქმარი არ არის. როცა თავისუფალი დრო აქვს, საღამოობით როიალზე უკრავს და ოჯახთან ერთად მღერის.

## ხათუნა ჟორდანია და ზურა ხაჩიძე

რამდენიმე წლის წინათ ზურა ხაჩიძისა და ხათუნა ჟორდანიას ქორწილის შესახებ მთელი თბილისი ლაპარაკობდა. დაქორწინებამდე წყვილი დიდხანს იყო შეყვარებული. ერთმანეთი ხათუნა ჟორდანიას ქალიშვილის, ნინი ქარსელაძის სიმღერის ჩაწერის დროს გაიცნეს. ზურას ხათუნა მაშინ შეუყვარდა. მათი სიყვარულის გარშემო უამრავი ჭორი და ბოროტი ხმა ტრიალებდა. განსაკუთრებულ ქარცეცხლში წყვილს ასაკობრივი სხვაობის გამო ატარებდნენ.

წყვილი დაქორწინებამდე დაახლოებით 3-4 წელი ხვდებოდა ერთმანეთს. მათი შეყვარებულობის დროს ხათუნა რამდენიმე თვე შვეიცარიაში ცხოვრობდა. როცა თბილისში დაბრუნდა, ზურა უკვე ქეთა თოფურიას შეყვარებული იყო, მაგრამ ბოლოს მაინც ხათუნას შეურიგდა. როგორც ხათუნა ჟორდანია ერთ-ერთ გადაცემაში იხსენებს, ზურასთან ასაკობრივი სხვაობის გამო მათი ურთიერთობა დიდხანს



არ გაგრძელდებოდა, მით უმეტეს ქორწინებით არ დასრულდებოდა, თუმცა ზურა ხაჩიძემ დაქორწინება გადაწყვიტა. თურმე ზურამ ბევრი დალია და ხათუნას ძმას, მერაბ ჟორდანიას დის ხელი სთხოვა. ჯვარი დაიწერეს და 500-კაციანი ქორწილიც გადაიხადეს. ახლა საერთო ქალიშვილი, ანასტასია ჰყავთ.

*ambebi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ნინი ბადურაშვილი ელენეს ახალ ფოტოებს აქვეყნებს – ბევრი ირაკლის ამსგავსებს, ზოგიც ნინის...





მომღერალ ნინი ბადურაშვილის პირადი ცხოვრება ბოლო ერთი წელია, განხილვის საგანია. ირაკლი კუტალაძესთან დაშორების შემდეგ ყველას აინტერესებს, ვის ჰგავს მისი და ირაკლი კუტალაძის შვილი ელენე.

„რეიტინგის" საიტზე გამოქვეყნებულ ნინისა და ელენეს ფოტოს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. პატარა ელენეს ბევრი ირაკლის ამსგავსებს, ზოგიც ნინის. თუმცა ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ საყვარელი ბავშვია.

ნინი ბადურაშვილი ამჯერად აგარაკზე ცხოვრობს და პატარა ელენეს მარტო ზრდის. ირაკლი კი მოსკოვშია და საკუთარი ბიზნესითაა დაკავებული.

*reitingi.ge*

## რა უთხრა ჩუმად გიორგი გაბუნიამ გაშვებულ ნიკას სცენაზე?



გიორგი გაბუნიას „X ფაქტორიდან" ერთ-ერთი უძლიერესი კონკურსანტის გაშვება მოუხდა. პროექტი ბათუმელმა ნიკა კიკნაძემ დატოვა.

გაბუნიას თქმით, პროექტის კონკურსანტები ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ და ის, რაც მოხდა თამაშის მკაცრი წესების ბრალია.

– ნაფიქრი მქონდა, მაგრამ წინასწარ ფიქრი ადვილია, საბოლოო შესრულება როცა არ გაქვს მოსმენილი. არჩევანის წინაშე ყოფნა ძალიან რთულია. ლაპარაკის თავი არ მქონდა და უბრალოდ, ვფიქრობდი. არ მინდოდა, შეცდომა დამეშვა. ვერ გეტყვით. ერთდროულად უამრავ რამეს ითვლი თავში. ეს არის კონკურსი, რომელშიც მარტო არ ხარ, მაყურებელთან ერთად იღებ გადაწყვეტილებას. ფიქრობ იმაზე, საით მიდიხარ, რა შესაძლებლობები აქვს მუსიკოსს, ფიქრობ იმაზე – ვის წინააღმდეგ მოუწევს ბრძოლა დარჩენილ კონკურსანტს. სამიდან ვერც ერთს ვერ გამოვარჩევდი, რომ რომელიმე რომელიმეზე უკეთესია. ბიჭები ძალიან განიცდიან, ერთმანეთს ამშვიდებენ და მხარში უდგანან. მინდა, რომ რაღაც გითხრა, მაგრამ სიტყვებს ვერ ვპოულობ-მეთქი. ასე ვიყავი მანამდეც. მკაცრია თამაშის წესები. დამნაშავედ იმან უნდა იგრძნოს თავი, ვინც ამ თამაშის წესები მოიგონა. ვთვლი, კონკურსს ნიკა ძალიან დააკლდება, მაგრამ წესებს ვერ შევცვლი, – ამბობს გაბუნია.

*primetimenews.ge*

## რატომ დასჭირდა ია სუხიტაშვილს „X ფაქტორის" კულისებში სასწრაფო დახმარება



„X ფაქტორის" ერთ-ერთი მონაწილის, თორნიკე ყიფიანის სცენაზე გასვლას პროექტის წამყვანის ია სუხიტაშვილის ცუდად გახდომა დაემთხვა. იასთვის პროექტის მესვეურებმა სასწრაფო დახმარება გამოიძახეს.

გეგა მარტო გავიდა სცენაზე თორნიკესთან და უთხრა, ისე იმღერე, ია კულისებში მისვენებულიაო. მაყურებელს ეს, ალბათ, ხუმრობა ეგონა, მაგრამ ამ დროს იას უკვე სასწრაფო დახმარების ექიმები წნევას უსინჯავდნენ.

„წნევა დაუვარდა, პულსიც არ ჰქონდა ნორმაში, როგორც ჩანს, რაღაცაზე ინერვიულა", – ამბობდნენ ექიმები.

სანამ იას ექიმები დასტრიალებდნენ თავს, გეგას სცენაზე მარტო გასვლა რამდენჯერმე მოუწია. მორიგი სარეკლამო ჭრის შემდეგ გეგამ ია სცენაზე ხელით გაიყვანა და მანაც ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ მაყურებელს მისი ავად გახდომა არ შეემჩნია.

ამასობაში სცენაზე კიდევ ერთი კონკურსანტი, მიშო ელიავა გავიდა. მისი გამოსვლის შემდეგ გაბუნიამ მაყურებელს მიმართა, – მას მერე, რაც გიორგი ბერიძე გავარდა, მაყურებელმა აგრესია მიშო ელიავაზე გადაიტანა.

„მიშო არაფერ შუაშია, გამლანძღეთ მე, მაგინეთ, სულ ფეხებს შუა მკიდია, ოღონდ კონკურსანტებს ნურაფერს ერჩით, მათი ბრალი არ არის, რომ პროექტში რჩებიან, მათ ყველაზე მეტად განიცადეს გიორგი ბერიძის გავარდნაო", – რთული სათქმელია, ამოიღებდა თუ არა გაბუნიას ამ ფრაზას გადაცემიდან „რუსთავი 2", ღია ეთერი რომ არ ყოფილიყო, მაგრამ გიორგის კრიტიკოსები კიდევ უფრო რომ მომრავლდებიან ამის მერე, ეს აშკარაა.

*reitingi.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– ახალაი, მახალაი, ჩახალაი...

– არ უშველის ამას ახალაი, მახალაი, კაცს მანქანით გადაუარე – ჩქარა, სასწრაფოში დარეკე!..

*****

ეჭვიანი ცოლი ქმარს, რომელიც ახალ მდივანს ეძებს, ჭკუას არიგებს:

– არც კი იფიქრო, სამსახურში ახალგაზრდა და სექსუალური გოგო აიყვანო! მიიღე ქმრიანი, წლოვანი ქალი და სჯობს, მსუქანიც იყოს, რათა მასთან სექსი გონებაშიც კი არ გაივლო!!!

– პრობლემა არ არის, ძვირფასო, შეგიძლია ორშაბათიდან მუშაობას შეუდგე...

*****

საუბარი „სკაიპში“.

მამაკაცი:

– „პრივეტ“, როგორ ხარ?

ქალი:

– ცუდად!

– რატომ?

– სექსი მინდა!

– რა პრობლემაა, ხვალ მოვალ და ჩემგან როგორც ყოველთვის!

– რას ნიშნავს, როგორც ყოველთვის?

– მარტინი და პრეზერვატივები ჩემზეა!

– სიმართლე გითხრა, მე მისი ქმარი ვარ. სექსი მინდა იმიტომ, რომ მას „ის ამბავი“ აქვს. მის „სკაიპთან“ ვარ იმიტომ, რომ ჩემის პაროლი დამავიწყდა, მაგრამ პირობას გაძლევ, მას აუცილებლად მოგიკითხავ!..

*****

მამაკაცი მკითხავთან მივიდა. მანაც, როგორც კი კლიენტის ხელს დახედა, ეგრევე გამოუცხადა:

– ხვალ თქვენი ცოლი მოკვდება!

– ეგ ისედაც ვიცი, შენ ეს მითხარი, დამიჭერენ?

*****

პარლამენტის შენობის დამლაგებელი:

– ჰმ, ქვეყნის სადავეები უპყრიათ ხელთ... ამ უჯიშოებს ჯერ თავიანთი „ღირსების“ ხელში დაჭერაც კი ვერ უსწავლიათ!!!

*****



ცოლი:

– სასწრაფოდ უნდა დავშორდეთ – ხვალ ჩემი ადვოკატი დაგირეკავს!

ქმარი:

– თანახმა ვარ, ბატონო, თანახმა ვარ ორივე... რქით!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

## მეცნიერებმა ბავშვის სამი ადამიანისგან „გაკეთება“ ისწავლეს



მართალია, ჯერჯერობით კლინიკებს ახალი მეთოდით პროცედურების ჩატარება ეკრძალებათ, მაგრამ სპეციალისტების აზრით, მომავალში, როცა აკრძალვა გაუქმდება, შესაძლებელი გახდება სხვადასხვა მძიმე და იშვიათი გენეტიკური დაავადების მქონე მშობელმა სრულიად ჯანმრთელი ბავშვი იყოლიოს.

თავად სიახლე კი შემდეგში მდგომარეობს: ნიუკასლის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა შეძლეს ხელოვნური ემბრიონის შექმნა, რისთვისაც მათ ორი ქალისა და ერთი მამაკაცის დეენემი გამოიყენეს.

მეცნიერების განმარტებით, ექსპერიმენტის მიზანი ისეთი ემბრიონის მიღება იყო, რომელსაც მშობლის დაზიანებული დეენემი არ გადაეცემოდა. კერძოდ, კვერცხუჯრედებიდან და სპერმატოზოიდებიდან სპეციალისტებმა ის ბირთვები ამოარიდეს, რომლებიც შემოწმების შედეგად დაზიანებული აღმოჩნდა. ამის შემდეგ ნამდვილი მშობლის გასუფთავებული დეენემი დონორის კვერცხუჯრედში გადაიტანეს, რასაც მამის სპერმა დაამატეს და განაყოფიერებაც ამგვარად მოხდა.

– ასეთი გზებით მიღებული ემბრიონი შეიცავს ძირითადად, მშობლებისა და პლუს დონორის უმნიშვნელო გენებს, – განმარტავენ ბრიტანელი მეცნიერები, – ეს დაახლოებით ნოუთბუქში აკუმულატორის შეცვლას ჰგავს: ენერგომომარაგება ნორმალურად მუშაობს, მყარ დისკზე კი ინფორმაცია ხელუხლებელი დარჩა...

ბრიტანელების აღნიშნულ მიღწევას გამოეხმაურნენ მეცნიერები სხვა ქვეყნებიდანაც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სცენარის იდეალურად განვითარების შემთხვევაში, ბავშვი სრულად დაემსგავსება საკუთარ დედასა და მამას და ამასთანავე, მათი დაზიანებული გენების მატარებელი აღარ იქნება. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, წელიწადში ყოველი 200 ბავშვიდან მინიმუმ ერთი მაინც ხდება მუტაციაგანცდილი დეენემის მატარებელი, რაც თავისთავად, მას ნორმალურად განვითარების საშუალებას არ აძლევს. ბრიტანელების მიღწევით კი ასეთი უსიამოვნება, წესით, აღარავის შეაწუხებს.

***membrana.ru***

## კაცობრიობის 5 გლობალური პრობლემა



სამყაროს აღსასრულზე უკვე იმდენი დასკვნა და წინასწარმეტყველება არსებობს, ადამიანს სათვალავი აგერევა. როგორი იქნება სინამდვილეში ჩვენი მომავალი, უფლის გარდა, ეს არავინ იცის, თუმცა მეცნიერები თავისას მაინც ცდილობენ და ზოგჯერ დამაჯერებელ, ზოგჯერ კი აბსურდულ დასკვნებს მაინც დიდი მონდომებით აქვეყნებენ.

ავტორიტეტული ამერიკული ჟურნალი „ფორბსი“ შეეცადა, დაედგინა, მაინც რა სახისა და რამდენი პრობლემაა კაცობრიობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სწავლულების განმარტებებზე დაყრდნობით 5 ძირითადი თეზისი ჩამოაყალიბა.

მთავარი დასკვნა, რომელიც ამ რეიტინგიდან შეიძლება გამოვიტანოთ, ასეთია:

– თუკი არ შევიცვლით დამოკიდებულებას პლანეტა დედამიწის მიმართ, სამყაროს აღსასრული 100 წლის შემდეგ დადგება, ამ საშინელების მიზეზი კი მხოლოდ ადამიანის საქმიანობა იქნება.

1. ბირთვული ენერგია – თუნდაც ძალიან ხანმოკლე თერმობირთვული ომის ან ატომურ სადგურებზე მასობრივი ავარიების შემთხვევაში, რადიოაქტიური დაბინძურება დედამიწის ყოველ მეორე ადამიანს (3-3,5 მილიარდი) იმსხვერპლებს. არანაკლებ პრობლემას წარმოადგენს რადიოაქტიური ნარჩენების სამარხებიც.



2. ჭარბი მოსახლეობა – იმ შემთხვევაში, თუკი დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა 10 მილიარდს გადააჭარბებს, მათ პლანეტის წყლის რესურსები აღარ ეყოფათ.

3. ეკოლოგიის დაბინძურება – გარემო იმდენად კატასტროფულადაა დაბინძურებული, რომ გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიურ დაავადებათა შემთხვევები უსწრაფესი ტემპებით მატულობს.

4. რესურსების ამოწურვა – ნავთობის მოხმარების დღევანდელი ტემპების გათვალისწინებით, მარაგი 40-50 წელიწადში ამოიწურება. ძირითადი ფერადი ლითონები (სპილენძი, კალა, თუთია, ვერცხლი) 60-70 წელში, ნახშირი და გაზი 30-40 წელში.

5. შიმშილი და ეპიდემიები – 2008 წლის დეკემბრის მონაცემებით, მთელ მსოფლიოში შიმშილისგან უკვე იტანჯება მინიმუმ 960 მილიონი ადამიანი, ხოლო ეპიდემიების გავრცელება დედამიწის ყოველ მეხუთე მოსახლეს ემუქრება, დაახლოებით 1,5 მილიარდ ადამიანს.

***tainamira.ru***

## რატომ აწამებენ იაპონელი მეცნიერები... კარტოფილს?



ჩვენ ვთლით, ვხარშავთ და ვწვავთ კარტოფილს, რათა მისი გემო გავაუმჯობესოთ და შიმშილი მოვიკლათ. აი, იაპონელი მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუკი კარტოფილს ელექტროშოკს გავუკეთებთ, ის ადამიანის ორგანიზმისთვის გაცილებით მეტი დადებითი შედეგის მომტანი გახდება. კერძოდ, 10-წუთიანი „შოკური წამება“ კარტოფილს „სტრესულ მდგომარეობაში“ აგდებს, რისი შედეგიც ის ყოფილა, რომ ანტიოქსიდანტებს ის გაცილებით დიდი რაოდენობითა და ორჯერ უფრო სწრაფად გამოიმუშავებს.

სპეციალისტების განმარტებით, ანტიოქსიდანტებს შეუძლია ადამიანს გულ-სისხლძარღვთა პრობლემების, დიაბეტის, კიბოსა და კიდევ ძალიან ბევრი უსიამოვნების დამარცხებაში დაეხმაროს.

ჰოდა, იაპონელი მეცნიერებიც კარტოფილს სწორედ ამიტომ „აწამებენ“.

***micro-news.ru***

## მძარცველებმა კოკაინის ნაცვლად... გარდაცვლილის ფერფლი შეისუნთქეს



ამ სულელური შემთხვევიდან ამერიკელების ორი ძალიან დიდი უცნაურობა გამოიკვეთა: ერთი, რომ კრემაციას კონტინენტსგაღმა თურმე, ადამიანების გარდა, ძაღლებსაც უტარებენ, და მეორე – ცალტვინა მძარცველებმა ფერფლი კოკაინში აურიეს, შეისუნთქეს და თქვენ წარმოიდგინეთ, „დიდი სიამოვნებაც“ მიიღეს.

როგორც ირკვევა, ეს შემთხვევა გასულ დღეებში ფლორიდის შტატში დაფიქსირდა – მსხვერპლის სახლში შეპარვის შემდეგ ახალგაზრდა ბოროტმოქმედებმა ორ მოზრდილ კოლოფში თეთრი ფხვნილი აღმოაჩინეს და ამ მიგნებით იმდენად გაიხარეს, რომ ძვირფასეულობისა და ფულის მოძებნა აზრადაც აღარ გაუვლიათ.

სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს, რომ მათ ფხვნილი შეისუნთქეს კიდეც და მოწონების ნიშნად ერთმანეთს ხელიც ჩამოართვეს.

სინამდვილეში, კოლოფი მკვდარი ძაღლების ფერფლით იყო სავსე და არა კოკაინით.

სწორედ სათვალთვალო კამერების დახმარებით, პოლიციამ ქურდები დააპატიმრა და იქ მიაბრძანა, სადაც მათი ადგილია.

***etotupo.ru***

## იმპოტენციის დაუძინებელი მტერი ხშირი სექსია?



აღარ დავიწყებთ იმაზე ლაპარაკს, რაც მეცნიერულად უკვე ძალიან ბევრჯერ დამტკიცდა – სექსი ადამიანის ჯანმრთელობის ერთ-ერთი ძალიან მყარი გარანტიაა. რაც შეეხება ახალ კვლევას, რომლის ავტორებიც ფინელი სწავლულები არიან, დადგინდა, რომ სხვა ყველაფერთან ერთად, რეგულარული სექსი მამაკაცის პოტენციაზეც დადებით გავლენას ახდენს.

კვლევა 5 წლის მანძილზე გრძელდებოდა და მასში 989 მამაკაცი იყო ჩართული.

ჰოდა, დადგინდა, რომ კვირაში მხოლოდ ერთი სექსუალური აქტი პოტენციასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა.

განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფში მაინც ასაკიანი მამაკაცები მოხვდნენ.

ფინელი მეცნიერები მკურნალ ექიმებს ურჩევენ, რომ თავიანთი პაციენტების სექსუალურ ცხოვრებას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ, რადგან პრობლემების მთავარი თუ არა, ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი სწორედ ფიზიკური კავშირის არქონაა.

***medportal.ru***

## მეცნიერებმა პირის ღრუს უსიამოვნო სუნის მთავარი მიზეზი დაადგინეს



სიახლის ავტორები ამერიკელი მეცნიერები არიან, რომლებმაც დაადგინეს, რომ პირის ღრუს უსიამოვნო სუნის გამომწვევი მთავარი მიზეზი ბაქტერიაა, რომელიც ენის ზედაპირზე ბინადრობს.

ბუფალოს სამედიცინო უნივერსიტეტის სპეციალისტების განმარტებით, უსიამოვნო სუნის მიზეზი ბაქტერია, სახელწოდებით „სოლოვაქტერიუმ მოორეი“ ყოფილა. სწორედ მასზე მოდის ცუდი სუნთქვის 80-90 პროცენტი, რადგან მყრალ შენაერთებსა და ცხიმოვან მჟავებს გამოიმუშავებს.

იმისთვის, რათა სუნიან ბაქტერიას უკეთ გავუმკლავდეთ, ამერიკელი სწავლულების რეკომენდაციით, სპეციალური ჯაგრისით ენა დღეში ორჯერ უნდა გაიწმინდოს.

***news.rin.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



1. მსახიობი ედიშერ ...
2. დახლართული გასასვლელი
3. სიო
4. პატარა ტანის ფრინველი
5. „... დედინაცვალი“
6. უდაბნო აფრიკაში
7. კლიმატი
8. ყანწის მასალა
9. აბრეშუმის მტკიცე ქსოვილი
10. ყაიმი
11. „უდიპლომო სასიძო“ კვანტალიანი
12. მხატვარი ... შაგალი
13. ერთგვარი პეპელა
14. დიდი კოვზი
15. ეთიოპიის დედაქალაქი
16. ძალიან თხელი
17. კოსტიუმირებული წვეულება
18. ლენონის ქვრივი
19. მწერალი ... უაილდი
20. ჭრილობა
21. კომპოზიტორი ... პაულსი
22. „შერეკილები“ ... კუჭუხიძე
23. მსახიობი კოტე ...
24. ..., ენა სარწმუნოება
25. ხუმარების ქალაქი ბულგარეთში
26. მომღერალი ... პუგაჩოვა
27. ბილიარდის ჯოხი
28. ფერმწერი სანდრო ...
29. შერი, სარანდონი, პფაიფერი და ნიკოლსონი ფილმში „... ალქაჯები“
30. ჯალათის ფიცარნაგი
31. ხორბლის ყვავილედი
32. ხის ბაყაყი
33. ესპანური დანა
34. სინი
35. მსახიობი ერიკ ...
36. შტატი აშშ-ში
37. ნასესხები ფული
38. თეატრალური მაკიაჟი
39. ქსოვილზე დასაკერებელი მძივი
40. დიზაინერი ... ასათიანი
41. შვედური საესტრადო ანსამბლი
42. სამაგიეროს გადახდა
43. ქვეყნის ისტორია
44. მსახიობი ... სპეისკი
45. „... უბნის მელოდიები“
46. საუბარი, ანუ ...
47. დრამატურგი ... ბრეხტი
48. რეჟისორი ... რიჩი
49. მსახიობი ჯონ ...
50. საძრახისი რამ
51. ბულგარული ფულის ერთეული
52. „ჩემი ცოლის დაქალები“ პერსონაჟი
53. მსახიობი ... რაიანი
54. ვაჟა-ფშაველას პოემა
55. პერუს დედაქალაქი
56. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
57. კოლხი მედეას მამა
58. ზამბახი
59. ბაგე
60. მწვანე მინერალი
61. მსახიობი ... ბრანდო
62. მხ/ფ „დიკ ...“
63. ნამარხი სპილო
64. სახელმწიფო აფრიკაში
65. გულუბრყვილო
66. „სამი მუშკეტერი“ კარდინალი
67. ქვეყნიერების დასასრული
68. „გლახის ნაამბობი“ პერსონაჟი
69. რეჟისორი ბერნარდო ...
70. ჰომეროს სიმფსონის ვაჟი ... სიმფსონი (მულტფილმიდან)
71. მსახიობი ... სტოუნი
72. მსახიობი სტივენ ...
73. ვირას საპირისპირო ბრძანება
74. მწერალი ჭაბუა ...
75. სტადიონი რიოში
76. საქმეში ჩადებული წილი
77. ზღვა იტალიასთან
78. გველი: მავი ...
79. მწერალი თეოდორ ...
80. ადამის მეუღლე
81. ვენეციური ნავი
82. მევიოლინე ... ისაკაძე
83. მწვანილების შეკვრა
84. სისხლნაკლებობა
85. შვედური ხურდა ფული
86. მსახიობი ... ბრინერი
87. ავტორბოლა
88. მდინარე ჭიათურაში
89. ციტრუსი
90. მსახიობი ჯეკ ...
91. დროშა
92. სოფოკლეს ტრაგედია
93. ... ხრეინიკოვი
94. მსახიობი ... არდანი
95. დაბა თბილისთან
96. რეჟისორი ... დოლიძე
97. სამკურნალო მცენარე
98. მსახიობი ... რობერტსი
99. საეკლესიო კრება
100. მხ/ფ „ვიღაცამ ... ბუდეს გადაუფრინა“
101. სემი, ქამი და ...
102. პოეტი ... ტაბიძე
103. მკერდის კორექციის მასალა
104. რგოლებიანი პლანეტა
105. ნივრების ასხმა
106. რეპტილია
107. მეეტლის ადგილი ეტლზე
108. ბუდისტი მასწავლებელი
109. ყვავის ბარტყი
110. პატარა მდინარე
111. ესკიმოსების ყინულის სახლი
112. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
113. თბილისის უბანი
114. ჭრიჭინას ბებია
115. რიცხვი 3,14
116. თვალის ფერადი გარსის ანთება
117. ღორის ნაშიერი
118. ზანდუკი
119. მდინარე ქუთაისში
120. წინაღობის ერთეული
121. მსახიობი ლივ ...
122. ამერიკელების მეტსახელი მექსიკაში
123. ბრედ პიტი ფილმში
124. მხ/ფ „... მწვანე ველი“
125. მსახიობი ... ჰეჩი
126. არქიტექტურული სტილი
127. „მატრიცა“ ჰაკერი
128. მსახიობი ოსვალდო ...
129. მდინარე ჩინეთში
130. მზის ღმერთი ეგვიპტეში
131. მისი დედაქალაქია თეირანი
132. მომღერალი ალანის ...
133. პერსონა ... - გრატა
134. იანის საპირისპირო



პასუხები: 1. მალალაშვილი; 2. ლაბირინთი; 3. ნიავი; 4. ლობემძვრალა; 5. სამანიშვილის; 6. საჰარა; 7. ჰავა; 8. რქა; 9. ფარჩა; 10. ფრე; 11. ვარდენი; 12. მარკ; 13. ფარვანა; 14. ჩამჩა; 15. ადის-აბება; 16. ფარატინა; 17. კარნავალი; 18. ონო; 19. ოსკარ; 20. იარა; 21. რაიმონდ; 22. ნოშრევან; 23. მახარაძე; 24. მამული; 25. გაბროვო; 26. ალა; 27. კიი; 28. ბოტიჩელი; 29. ისტვიკელი; 30. ეშაფოტი; 31. თავთავი; 32. ვასაკა; 33. ნავახა; 34. ლანგარი; 35. ბანა; 36. ალაბამა; 37. ვალი; 38. გრიმი; 39. ბისერი; 40. მაკა; 41. ‘აბბა“; 42. რევანში; 43. მატიანე; 44. სისი; 45. ვერის; 46. ბაასი; 47. ბერტოლტ; 48. გაი; 49. ტრავოლტა; 50. აუგი; 51. ლევი; 52. ტასო; 53. მეგ; 54. ‘გველისმჭამელი“; 55. ლიმა; 56. მარიონეტი; 57. აიეტი; 58. ირისი; 59. ტუჩი; 60. მალაქიტი; 61. მარლონ; 62. ტრეისი; 63. მამონტი; 64. უგანდა; 65. მიამიტი; 66. რიშელიე; 67. აპოკალიფსი; 68. გაბრიელი; 69. ბერტოლუჩი; 70. ბარტ; 71. შერონ; 72. სიგალი; 73. მაინა; 74. ამირეჯიბი; 75. მარაკანა; 76. პაი; 78. მამბა; 79. დრაიზერი; 80. ევა; 81. გონდოლა; 82. ლიანა; 83. კონა; 84. ანემია; 85. ერე; 86. იულ; 87. რალი; 88. ყვირილა; 89. მანდარინი; 90. ნიკოლსონი; 91. ალამი; 92. ‘ანტიგონე“; 93. ტიხონ; 94. ფანი; 95. კიკეთი; 96. სიკო; 98. ერიკ; 100. გუგულის; 101. იაფეტი; 102. გალაკტიონ; 103. სილიკონი; 104. სატურნი; 105. გალა; 106. კუ; 107. კოფო; 108. გურუ; 109. ბახალა; 110. ნაკადული; 111. იგლუ; 112. ყირიმი; 113. კუკია; 114. ელპიტე; 115. პი; 116. ირიტი; 117. გოჭი; 118. სკივრი; 119. რიონი; 120. ომი; 121. ტაილერი; 122. გრინგო; 123. ‘ტროა“; 124. დიდი; 125. ენ; 126. როკოკო; 127. ნეო; 128. რიოსი; 129. იანძი; 130. რა; 131. ირანი; 132. მორისეტი; 133. ნონ; 134. ინი. იკითხება: ლორენი. მასტროიანი.

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მეუღლე ნელი, შვილები ლადო და ლაშა, რძლები თიკო და ეკა, შვილიშვილები მწუხარებით იუწყებიან

**დუდუ (გამარლი) დოხნაძის**

გარდაცვალებას

**პანაშვიდი:** 3, 4 ივნისს;

**მისამართი:** თემქა, მე-11 მკ/ნი, I კვარტალი, 16 ა კორპ. ბინა 7;

**გამოსვენება:** 5 ივნისს, 14 საათზე, ვაკის სამების ეკლესიიდან (ჭავჭავაძის გამზირი).

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ზღვის თევზი — ვერცხლისწყლით მოწამვლის მთავარი წყარო?



თევზის მოყვარულებისთვის ნამდვილად ძალიან არასასიამოვნო სიახლეა, რადგან სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, ზღვის თევზი ადამიანის ორგანიზმის ვერცხლისწყლით მოწამვლის მთავარი მიზეზია.

აღნიშნული სიახლის ავტორების განმარტებით, ზღვის თევზების ორგანიზმში ვერცხლისწყლის შემცველობა დასაშვებზე მაღალია. აი, რაც შეეხება მტკნარი წყლის ბინადრებს, მათ შემთხვევაში საქმე გაცილებით იოლადაა.

– ამ უსიამოვნების მიზეზი მლაშე წყალში ვერცხლისწყლის შერევის ქიმიური თავისებურებებია, – ამბობენ სპეციალისტები.

საინტერესოა, რომ მათივე თქმით, ვერცხლისწყლის შემცველობა ფორმალურად, მტკნარ წყალში უფრო მაღალია, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საშიში ნივთიერება მლაშე წყალში ერთგვარ მუტაციას განიცდის.

და რამდენად საშიშია ვერცხლისწყალი? ენციკლოპედიებში მოვიძიეთ, რომ ის პირველ კლასს, ანუ განსაკუთრებით საშიშ ქიმიურ ნივთიერებათა რიგებს მიეკუთვნება. ვერცხლისწყალი ანადგურებს ნერვულ სისტემას, ღვიძლს, თირკმელებს, კუჭ-ნაწლავის ტრაქტს და ასე შემდეგ. ამ ყველაფრის საბოლოო შედეგი კი რაც არის, ალბათ, თავადაც მიხვდებით.

სპეციალისტები განმარტავენ იმასაც, რომ თევზები და მოლუსკები, თავიანთი ბუნებით მიდრეკილები არიან, შინაგან ორგანოებში ვერცხლისწყალი დააგროვონ. ამდენად, როცა ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურება სამწუხაროდ, უდიდესი მასშტაბებით ხდება, მოწამვლის საშიშროება მით უფრო იზრდება.

*lenta22.ru*

## მეუღლის ხვრინვამ შესაძლოა, ჰიპერტონია დაგმართოთ?



ქმარი, რომელიც მთელი ღამე გაუსაძლისად ხვრინავს, პარტნიორს არა მხოლოდ დაძინებაში უშლის ხელს, არამედ მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც უარყოფით გავლენას ახდენს.

საქმე ისაა, რომ ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს: მხვრინავი ქმარი ცოლს ჰიპერტონიის საფრთხეს უქმნის. ამასთანავე, აღნიშნული დაავადების გაჩენისგან არც თავადაა დაზღვეული.

კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ ხმაური, რომელიც 35 დეციბელს აღემატება, არტერიულ წნევაზე მოქმედებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ ექსპერიმენტში მონაწილეობა 140-მა მოხალისემ მიიღო, რომლებიც „ჰისროუსა“ და სხვა ევროპული აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.

ძილის დროს 15 წუთის ინტერვალში სპეციალისტები მათ წნევას უზომავდნენ. პარალელურად, ხმაურის დონეც კონტროლდებოდა.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ 35 დეციბელზე მაღალი ხმა ექსპერიმენტის ყველა მონაწილეში არტერიული წნევის მატებას იწვევდა. რაც მთავარია, წნევა ნებისმიერ შემთხვევაში იზრდებოდა, დამოუკიდებლად იმისა, თვითმფრინავის გამაყრუებელი ხმა ისმოდა, სხვა ტრანსპორტის თუ ხვრინვის.

– რეგულარული ხმაური ადამიანს ქრონიკული ჰიპერტონიით დაავადების რისკს უქმნის, – ასეთია ექსპერიმენტის საბოლოო დასკვნა.

შეგახსენებთ, რომ ხვრინვის დროს ადამიანის მიერ გამოცემული ხმაური 20-დან 80 დეციბელამდე მერყეობს. ამასთანავე, არსებობს გინესის რეკორდსმენი ბრიტანელი ქალი კარე ვოლკერტი, რომლის ხვრინვისგან გამოწვეული ხმაური 93 დეციბელს აღწევს. საწყალი მისი ქმარი...

*medportal.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**4 ივნისი:** განსხვავება თქვენსა და სხვა ადამიანებს შორის ისეთი თვალსაჩინო იქნება, როგორც არასოდეს. შეეცადეთ, თქვენი მხრიდან ეს განსხვავება ნეგატიური არ იყოს.

**კურო 22.04-21.05**

**4 ივნისი:** დღეს ყველაფერი ბევრად უკეთესად უნდა იყოს, ვიდრე გუშინ. თქვენ და თქვენი საქციელიც, მათ შორის.

**ტყუპები 22.05-21.06**

**4 ივნისი:** ნაყოფიერი მუშაობისთვის კეთილშობილური იდეა დაგჭირდებათ. თუ ასეთი ნააზრევი მართლაც გაგიჩნდებათ, რაღაც მშვენიერს შექმნით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**4 ივნისი:** საკუთარ თავს მეტი ყურადღება მიაქციეთ. სიფრთხილე და დისციპლინა ამ დღის წარმატებით დამთავრების შანსებს გაგიზრდით.

**ლომი 23.07-22.08**

**4 ივნისი:** ალტრუისტული მისწრაფებები ერთ ადგილას გაჩერების საშუალებას არ მოგცემთ. მართლაც შეგიძლიათ ვიღაცის დახმარება. ასე რომ, საქმეს მიხედეთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**4 ივნისი:** დღეს საზოგადოებისგან მოწყვეტა და დასვენება დაგჭირდებათ, მათ შორის, თქვენთვის საყვარელი ადამიანებისგანაც. განმარტოება აზრების დალაგებაში დაგეხმარებათ.

**სასწორი 23.09-22.10**

**4 ივნისი:** ის, რაც ჩვეულებრივ უხერხულობად მიგაჩნიათ, რომელზე ყურადღების მიქცევაც არ ღირს, შეიძლება მალე სერიოზულ პრობლემად იქცეს. ახლავე მიხედეთ ამ საქმეს, სანამ ცხოვრება არ გაგრთულებიათ.

**მორიელი 23.10-21.11**

**4 ივნისი:** რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენებოდეთ, სამსახურისა და სიამოვნების შეთავსება შესაძლებელია. ამაში სწორედ დღეს დარწმუნდებით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**4 ივნისი:** დღეს თქვენგან ნებისმიერი რამ არის მოსალოდნელი. ყველაზე უმტკივნეულო ვარიანტი შეიძლება ავეჯის გადაადგილება იყოს.

**თხის რქა 22.12-19.01**

**4 ივნისი:** თქვენი გეგმები, დიდი ალბათობით, შეიძლება უამრავი შემთხვევითობის გამო დაიშალოს. თავი წინასწარ დაიზღვიეთ, შეიძლება უკან დახევა მოგიწიოთ.

**მერწყული 20.01-18.02**

**4 ივნისი:** დღეს ვერაფერი შეგაკავებთ. ქარბორბალასავით იქნებით, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს, საით მიექანება ასეთი სიძლიერით.

**თევზები 19.02-20.03**

**4 ივნისი:** შეიძლება ვიღაცის ხელში იარაღი აღმოჩნდეთ. ამის თავიდან ასაცილებლად არავითარ ავანტიურაში არ ჩაერთოთ. გართობა სხვაგვარადაც შეიძლება.

ძველი და ახალი იატაკების, პარკეტისა და ფიცრის (ციკლოვკა) მოხვეწა, შეკეთება, დაშპაკვლა და გალაქვა უმაღლეს დონეზე, მრავალწლიანი გამოცდილებით, ჩვენი ან თქვენი მასალებით. ვმუშაობთ როგორც რუსული, ასევე გერმანული აპარატებით.

ტ. 253-38-60 ან 593-91-63-94 გიორგი

გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს**

**ანაზღაურება 640 ლარიდან**

**გამოცდილ ჟურნალისტს საინფორმაციო სააგენტოებზე მუშაობის პრაქტიკით – საინფორმაციო სამსახურის რედაქტორად.**

ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან

„ალია“ მიიღებს და დაინტერესების შემთხვევაში გამოაქვეყნებს საავტორო სტატიებს შესაბამისი ანაზღაურებით.

სტატია გამოგზავნეთ ელფოსტაზე: alia@alia.ge

## საფრანგეთში დიეტის პროპაგანდისთვის ციხეში ჩასვამენ



ის, ვინც გაბედავს და საფრანგეთში დიეტის პროპაგანდას დაიწყებს, შესაძლოა, ციხეში ყურყუტი მოუხდეს. როგორც ირკვევა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე მომზადებულია კანონპროექტი, რომელსაც ფრანგი პარლამენტარები უახლოეს მომავალში განიხილავენ. კანონპროექტის თანახმად, დიეტის პროპაგანდაში ბრალდებულს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და 72 ათასი ევროს ოდენობით ჯარიმის გადახდა ემუქრება.

– ის, ვინც ხალხს შიმშილისკენ მოუწოდებს, აუცილებლად იმსახურებს ციხეს, – მიიჩნევენ კანონპროექტის ავტორები.

მათივე თქმით, განსაკუთრებული ზიანი მოზარდებს ადგებათ და არის შემთხვევები, როცა მათი ჯანმრთელობა ძალიან სერიოზულად ზიანდება.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*prochitano.ru*



სიტუაცია საჩუქრების მაღაზიაში:

– გოგონი, თუ არ შეწუხდებით, აი, ის წითელი პლუშის ტრა...ი მომაწოდეთ.

– კი, ბატონო, მაგრამ ეს ტრა...ი არ არის, გულია!

– მომისმინე, შენ შემოგევლე, უკვე 20 წელია, კარდიოქირურგად ვმუშაობ... რომ გეუბნებით, ახლავე მომაწოდეთ აი, ის წითელი პლუშის ტრა...ი!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია » 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.54